პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

კომუნისტი

მეოთხე წელიწადი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება
ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივნის 10—58

მთავარი კანტორისა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეებისა—65 კ., დანარჩ. ქალაქში-85 კ. ქალ. გარ.-95 კ.
განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—20 კ. სამგლოვიარო განცხ.—5 მ. განმეორებ. განცხადებათ 15 პროც. განცხ. მიიღება შუად. 2 ს.
ექსპედიციის ტელეფონი 5—43.

№ 131 (986) სამშაბათი, 10 ივნისი 1924 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 4 (500 მილ.) № 131 (986)

დღიური

საბერძნეთში აჯანყდნენ სათა[illegible] ჯარის ნაწილები.
ივლისში დანიშნულია გერმანიის სოციალისტების კონგრესი.
სტამბოლში დაბრუნდა იტალიის ელჩი, რომელმაც იტალია-ოსმალეთის კონფლიქტის [illegible] ოსმალეთი.
გადადგა ლიტვის მთავრობა.
შვეციის სოციალისტებმა ხმა მისცეს სამხედრო კრედიტს.
მრეწველობის კრიზისის გამო, პოლონეთში დაიხურა მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნების.

ჩვენ გამოვაქვეყნებთ ხვალ პარტიის მე-XIII ყრილობის რეზოლიუციებს

„ახალი“ მთავრობა გერმანიაში

მიუხედავათ იმისა, რომ, როგორც რეიხსტაგის არჩევნებმა დაგვანახეს, გერმანიაში მოხდა სოციალური ძალების საგრძნობი გადაჯგუფება ერთი მხრივ მარჯვნივ (ნაციონალისტები, ტევტონელები), მეორე მხრივ მარცხნივ (კომუნისტები), — ხელისუფლებას უცვლელად დაუბრუნდა მარქსის მთავრობა, ე. ი. ე. წ. შუათანა პარტიების წარმომადგენელნი: ეს პარტიებია: ცენტრის (63), გერმანიის სახალხო პარტიის (44) და დემოკრატების (28). მათი ბლოკი რიცხვობრივად აღემატება რეიხსტაგის თვითეულ დანარჩენ ფრაქციას.

მაგრამ ამ „შუათანა“ ბლოკს რეიხსტაგში არ ყავს უმრავლესობა და მას შეუძლია ცოტად თუ ბევრად დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება. თვით ამ ბლოკში არ არის შინაგანი თანხმობა, ამასთან კლასობრივი ბუნებითაც მისი ორი წევრი (ცენტრი, დემოკრატები) მეტად მერყევი ელემენტია, რომ გააჩნდეს მოქმედების საკუთარი ხაზი.

მარქსის მთავრობა გამოხატულებაა გერმანიის დღევანდელი უძლურების, ამასთან გარდამავალი პერიოდის.

„გერმანიის ხალხის სრული უძლურება“ ოფიციალურად აღიარა თვით შტრეზემანმა.

ვინ შექმნა ასეთი „უძლურება“! ცხადია, „ბლოკის“ პარტიებმა, ყველა სხვა მემარჯვენე და სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად, რომელთაც გაანადგურეს შიგ გერმანია და საჩიჩქნელად გადასცეს ის საფრანგეთს და მთელ ანტანტას.

და აი, თავისი სრული გაკოტრების აშკარა აღიარების შემდეგ, მარქსის უხერხემალო, მთელი ხალხის თვალში სახელგატეხილი მთავრობა, ისევ დგება ძალა-უფლების სათავეში.

ვის ემყარება ის პარლამენტში და რა პოლიტიკას ატარებს?

— არსებითად ემყარება მემარჯვენე ჯგუფებს, ხოლო საჭიროების მიხედვით გამოიყენებს სოციალ-დემოკრატიას.

—დღევანდელი გერმანიისათვის მთავარია საგარეო პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს საშინაო პოლიტიკის პროგრამას,—ასე აცხადებს შტრეზემანი. ხოლო ეს საგარეო პოლიტიკა გამოიხატება ექსპერტების მოხსენების მიღებაში და ამ გზით საფრანგეთ-ინგლის-ამერიკის „გულის მოგებაში“. ჩვენ ვიცით, თუ რას შეიცავს ექსპერტების გეგმა,—ესაა გერმანიის ხანგრძლივი გადაქცევა უცხო კაპიტალის კოლონიად, მისი სახალხო მეურნეობის გადაცემა ამ კაპიტალის განკარგულებაში.

და აი, გერმანელ მენშევიკებმა კიდევ ერთი უდიდესი ღალატი ჩაიდინეს გერმანიის ხალხის და პროლეტარიატის წინაშე. მათ მოიწონეს მთავრობის წინადადება ექსპერტების მოხსენების მიღების შესახებ, მხარი დაუჭირეს მას. ამნაირად, საბოლოოდ გამიშვლდნენ, როგორც არა მარტო თავიანთი ქვეყნის, არამედ საერთაშორისო კაპიტალის აგენტები.

რაც შეეხება მთავრობის შინაურ პოლიტიკას, აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია რეპრესიის გაძლიერება კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. ამ დარგში შექმნილია ერთიანი ფრონტი მთავრობისა, მემარჯვენე პარტიებისა და სოციალ-დემოკრატიის. სოციალ-დემოკრატმა ლებემ კომუნისტი დეპუტატების დემონსტრატიული გამოსვლა რეიხსტაგის გახსნის პირველ დღეს დაახასიათა როგორც „მუშაობა დაკვეთით“, ე. ი. კომინტერნის კარნახით, რომელ მუშაობას, მისი სიტყვით, ზურგს შეაქცევს მუშათა კლასი.

ჩვენ ვიცით სოციალ-დემოკრატების კომუნისტებისადმი ასეთი დამოკიდებულების მიზეზი. კომუნისტური პარტია გერმანიაში დღითი-დღე ძლიერდება, ხდება მასსიურ პარტიად. ის უკვე სერიოზული კონკურენცია მენშევიკებისა მუშათა კლასის იდეურ და ორგანიზაციულ დაპყრობის საკითხში. რეიხსტაგის უკანასკნელ არჩევნებში კომუნისტურმა პარტიამ მიიღო 4 მილიონამდე ხმა.

ეს გარემოება მენშევიკებს მოსვენებას ას აძლევს. და ამიტომაცაა, რომ ასე გაშმაგებით იბრძვიან კომუნისტების წინააღმდეგ, რათა მთავრობის რეპრესიული ზომებით მაინც მოახერხონ მათი განდევნა პოლიტიკური ცხოვრების სარბიელიდან. ამიტომაა, რომ ეწყობა პროცესები კომუნისტების წინააღმდეგ, იხურება მათი გაზეთები, კრძალავენ ჩვენი პარტიის ყრილობებს, დევნიან და ციხეში ალპობენ ჩვენს ამხანაგებს.

მაგრამ ამ გზით ვერ ჩაკლავენ რევოლიუციონურ ბრძოლას გერმანიაში, ვერ მოსპობენ კომუნისტურ პარტიას.

გერმანიის კომპარტია სასტიკ რეპრესიებიდან, რომლებსაც ადგილი ჰქონდა გენერალ სექტის დიქტატურის დროს, გაძლიერებული გამოვიდა. მან საჯაროდ წამოაყენა ლოზუნგი ბურჟუაზიის დამხობის, პროლეტარიატის დიქტატურის და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების. ამ ლოზუნგების გარშემო შემოკრბა საუკეთესო ნაწილი, საკმაოდ მრისხანე ძალა გერმანიის პროლეტარიატის.

ჩვენი მოძმე პარტიის ამოცანა ისევ მდგომარეობს გერმანიის მუშათა კლასის უმრავლესობის დაპყრობაში და სოციალ-დემოკრატიის გარიყვაში. ამ ამოცანას ის ანხორციელებს პარლამენტის გზითაც, რომელსაც იყენებს სააგიტაციო ტრიბუნად. გერმანელი კომუნისტები მივიდნენ რეისტაგში არა „ორგანიული“ სახელმწიფოებრივი მუშაობის საწარმოებლად, არამედ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის რეჟიმის დასანგრევად.

სოციალ-დემოკრატების მოღალატური საქმენი ხელს შეუწყობენ მათ ამ მუშაობაში.

შორს კოოპერაციიდან კერძო ვაჭრები

საინტერესო ცნობებს ვკითხულობთ ჩვენს კოოპერატიულ ორგანიზაციებზე.

საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული ამხანაგობამ საქმე დაიჭირა კერძო ვაჭრებთან და აწოდებს მათ საფეიქრო სინდიკატიდან გატანილ საქონელს.

ეს ჩვენში.

ახლა სხვა რესპუბლიკებში.

„პოლტავა, 5 ივნისი. **აღმოჩნდა მსხვილი ბოროტმოქმედებები საგუბერნიო ინვალიდთა კოოპერატიულ გაერთიანებაში. კოოპერატიულ აპარატში შევიდნენ კერძო ვაჭრები, რომლებმაც კოოპერაცია მიიყვანეს ფინანსიურ კატასტროფამდე. მოხდება გაწმენდა მთელი გაერთიანების**“.

რას გვეუბნება ჩვენ ეს ფაქტები? იმას, რომ კერძო ვაჭრებმა ინვალიდთა კოოპერაციაში ნახეს ნოყიერი ნიადაგი.

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ, კოოპერაცია მეტოქეა კერძო ვაჭრების. ის ხარჯავს მთელ ენერგიას, როგორმე შეასუსტოს კერძო ვაჭრები, განდევნოს ისინი როგორც სოფლიდან, ისე ქალაქიდან და შეიქნეს ბაზრის ბატონ-პატრონი. ამის შესახებ ბევრი დაწერილა და ბევრიც თქმულა. კოოპერაციაზე ზრუნვა მთავარ ამოცანათ დაისახა საბჭოთა ხელისუფლებამ. იშვიათად მოიპოვება შეგნებული მოქალაქე საბჭოთა ფედერაციაში, რომელიც არ იცნობდეს ხელისუფლების აზრს კოოპერაციაზე. მაშ რით აიხსნება ისეთი სრულიად მიუტევებელი შემთხვევები, რომლებსაც ადგილი აქვს ჩვენს კოოპერატიულ მუშაობაში? განა კოოპერაციის ხელმძღვანელებმა არ იციან თავიანთი დანიშნულება?

საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიულ გაერთიანების მშენებლობას თუ გავიცნობთ, ჩვენთვის ნათელი შეიქნება, თუ რამდენათ კოოპერატიულია ეს ორგანიზაცია.

კავშირი შესდგება 26-მდე ცალკე არტელისაგან. არტელებშია 2-დან 3 წევრი. ასე რომ არსებობს ორგანიზაციები, აქვთ იურიდიული სახე, ატარებენ კოოპერატიულ „ვივესკას“, ღებულობენ სესხს, ვაჭრობენ და თქვენ წარმოიდგინეთ ყავთ სულ 2 ანუ 3 წევრი.

აღნიშნულ 26 არტელებიდან 13 სავაჭროა და დანარჩენი კი საწარმოო. სულ 26 ორგანიზაციას ყავს 130 წევრი. ამათში თბილისს ხვდება 74 და პროვინციას 56-მდე. მოსამსახურეთა რიცხვი 54 და ინსპექტორები 14. ასე რომ ყოველ ორ წევრზედ ხვდება ერთი მოსამსახურე.

არტელს წესდებით აქვს უფლება იყოლიოს სამი გამგეობის წევრი. ასე რომ იმ არტელში, სადაც წევრი სამია (და ასეთები კი ბევრია) ყველანი არიან გამგეობის წევრები. წესდება როგორც არტელების, ისე ცენტრის, არაფრით არ გავს კოოპერატიულს.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს თვით ცენტრალური აპარატის მშენებლობის ხასიათი, რომელიც ჯერ კოოპერატიულ პრაქტიკაში არ გაგონილა: არის ორი მართველობა. ერთია გამგეობა და მეორე სავაჭრო მმართველობა. ამათი ფუნქციები ისეა არეული, რომ კაცი ვერ გაერკვევა, რომელი მათგანია ორგანიზაციის ხელმძღვანელი და ვინ ვის ემორჩილება. აი ასეთია სქემატიურად აღნიშნულ ორგანიზაციის მდგომარეობა.

რა მიზნები აქვს დასახული ინვალიდთა კოოპერატიულ ორგანიზაციას და რა გააკეთა მან აქამდე! მიზნები ინვალიდთა კოოპერატიულ ორგანიზაციის ერთობ ჰუმანიურია. მან უნდა იზრუნოს ინვალიდთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. შეაკავშიროს ისინი, შეჰკრას საწარმოო არტელები, აწარმოოს კულტურული მუშაობა, იზრუნოს წევრების ბინის საკითხზე და სხვა მრავალი. არტელები უნდა აკავშირებდენ ჩვენი ქვეყნის ყველა დაჭრილ-დასახიჩრებულებს, რომელთაც უნდა მიეცესთ გზა შრომისაკენ.

სამუშაო ამ მხრივ ერთობ ბევრია. საუცხოო სანახაობას წარმოადგენდა მაგალითად ჰოლანდიის ინვალიდთა კოოპერატიული კავშირის ექსპონატები გასულ წლის საბჭოთა კავშირის გამოფენაზე. ისინი მოთავსებული იყვნენ კოოპერაციის პავილიონში და დიდ ყურადღებას იქცევდნენ. იქ ნახავდით ისეთი ინვალიდების ნამუშევარს, რომელთა ცალი ხელი არა აქვთ და ხელოვნური ხელით საუცხოვოთ მუშაობენ და სხვ. წარმოების ყოველივე დარგში შეიძლება გაერთიანდენ ინვალიდები და შეიკრას კავშირი.

რას ვხედავთ ჩვენ საქართველოში? ინვალიდთა კოოპერაციას, რომლის ცენტრში 70-მდე თანამშრომელია, აწარმოებს დიდ სავაჭრო ოპერაციებს, აქვს კრედიტი ბანკებში და სხვა მრავალი, ამ ორგანიზაციას ჰყავს სულ 130 წევრი მთელ საქართველოში.

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ამ ორგანიზაციას არავითარი მუშაობა არ უწარმოებია საერთოთ ინვალიდთა ფართო მასების ჩასაბმელათ მუშაობაში.

ნუ თუ დასაჯერია ის აზრი, რომ თბილისში არ მოინახება 70 ინვალიდზედ მეტი, რომელთაც აქვთ სურვილი კოლექტიური შრომისა? ასეთი მდგომარეობა, შესაძლოა, ხელსაყრელიც იყოს სავაჭრო მმართველობას თვალსაზრისით.

როგორც ემჩნევა ორგანიზაციას ინტერესი იყო ევაჭრათ ისე როგორც შეიძლება საერთო კოოპერატიული გეგმის გარეშე, გასაგებია, თუ რატომ არ იყო აღნიშნული ორგანიზაცია კოოპერატიული და რატომ დაიკავშირა მან კერძო ვაჭრები.

პირველი, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს, არის წესდების არა კოოპერატიული ხასიათი. ეს არის უმთავრესი შეცდომა.

მეორე შეცდომა ის არის, რომ აპარატში არ მუშაობდა არც ერთი კოოპერატორი.

ვინც კოოპერაციის მუშაობას არ იცნობს, ჰგონია, რომ ყველას შეუძლია კოოპერაციაში მუშაობა და კოოპერატიულად ვაჭრობა. კოოპერატიულ ვაჭრობასა და სხვა ვაჭრობას შორის დიდი განსხვავებაა. შეიძლება კაცი კარგი ვაჭარი იყოს კერძოთ სხვა ორგანიზაციაში, მაგრამ კოოპერაციაში კი სრულიად გამოუსადეგარი დარჩეს.

ყოველივე ამას თუ გავითვალისწინებთ, აშკარა შეიქნება ის დეფექტები, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ ორგანიზაციაში. იქ არ იყო კოოპერატიული სული, არამედ იყო წმინდა ვაჭრული, რამაც კოოპერატიული ორგანიზაცია მიიყვანა კერძო ვაჭრებთან დაკავშირებამდე.

განა რომელიმე კოოპერატორს შესაძლოა დაებადოს აზრი ამ ვაჭრებთან დაკავშირების? კოოპერატორისათვის პირველი მცნებაა: შორს კოოპერაციიდან „ბაცაცა“ ვაჭრები. ისინი ყოველთვის იყვნენ და ეხლაც არიან კოოპერაციის მოსისხლე მტრები. თუ კოოპერაციაში მოხვდენ, ცხრაჯერ საქმეს კარგათ გააკეთებენ, მაგრამ მეათეჯერ აუცილებლათ გვიღალატებენ ისე, რომ ცხრასაც წაშლიან და სხვა ცხრა კარგ საქმესაც თან გაიძღოლებენ.

ასეთია მათი პოლიტიკა.

რას გვეუბნება ჩვენ რუსეთში მომხდარი ფაქტი, რომელიც წერილის დასაწყისში მოვიყვანეთ? ვაჭრებმა კოოპერაცია სიკვდილის კარამდე მიიყვანეს. ეს ნათელია და ასედაც უნდა მომხდარიყო. შეცდომა იქ მომუშავე ხელმძღვანელებისა იმაში მდგომარეობს, რომ ეს ადრე ვერ შეიგნეს.

სჯობს იყოს ცოტა და კარგიო— გვიანდერძა ლენინმა. სჯობდა იმ 11 სავაჭროს მაგიერ, რომელიც ტფილისში აქვს გახსნილი ინვალიდთა კოოპერაციას, ყოფილიყო ხუთი და საიმედო.

ყველა ზევით ნათქვამიდან გამომყავს შემდეგი დასკვნა. ჯერ იმპერიალისტური და შემდეგ სამოქალაქო ომებში დასახიჩრდა მრავალი მოქალაქე. ბევრს მათგანს კიდევ შერჩენიათ შრომის უნარი, მაგრამ ზოგს არა აქვს შესაფერი ცოდნა. მთელი ჩვენი თანაგრძნობა მათკენ უნდა იყოს და დავეხმაროთ მათ. ეს ასეც არის ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში. მაგრამ **საჭიროა და აუცილებელი ინვალიდთა კოოპერატიული ამხანაგობების არსებობა, კოოპერატიულ კოლექტიურ-არტელური შრომის პრინციპზე აგებული. ორგანიზაცია უნდა იქნას წმინდა კოოპერატიული.** ამიტომაც აუცილებელია რეორგანიზაცია საქართ. ინვალიდთა კოოპერატიული ცენტრისა. წესდება შეფარდებული უნდა იქნას მის დანიშნულებასთან და დამტკიცებული კოოპერატიული სამმართველოს მიერ.

ერთხელ და სამუდამოთ განდევნილი უნდა იქნან კოოპერაციიდან ვაჭრები.

აუცილებელია ხელმძღვანელ აპარატში კოოპერატორების მუშაობა.

ამ ნიადაგზე აშენებული და გაჯანსაღებული ორგანიზაცია პირნათლად შეასრულებს იმ მოვალეობას, რომელიც აქვს მას ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა მიმართ.

ვლ. ცაგარელი.

შენიშვნები

მუშა-კორესპონდენტები

(მათი შემადგენლობის გადასინჯვისათვის)

საბჭოთა პრესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევას შეადგენს მუშა-კორესპონდენტების კადრის შექმნა, ნამდვილ პროლეტარების გამოყვანა საგაზეთო მუშაობის ასპარეზზე.

მუშკორების საშუალებით მშრომელი მასსა უკავშირდება პარტიულ-საბჭოთა გაზეთს (მაშასადამე, პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას); მუშკორები არიან ორგანიზატორები თავიანთ ფაბრიკა-ქარხნების პროლეტარიატის საზოგადოებრივი აზრის; ისინი „თვალი და ყურია“ მუშურ-გლეხურ მთავრობის, ამხელენ ყოველგვარ ბოროტმოქმედებას თუ უკანონობას, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს წარმოება-დაწესებულებებში; ამგვარად, ხელს უწყობენ ჩვენი მეურნეობის, სახელმწიფო აპარატის, მთელი ცხოვრების გაჯანსაღებას.

მუშკორების ასეთი როლი, რათქმა უნდა, კარგად ესმით გაზეთებს და ხელისუფლებას. რედაქციები ცდილობენ გაამრავლონ მათი კადრი, მათი ქსელით მოფინონ ყოველი წარმოება-დაწესებულება. მუშკორების შენიშვნებს უაღრესი ყურადღება ექცევა; ასეთები დაუყოვნებლივ ჰპოულობენ გამოხმაურებას სათანადო ორგანოების და პირების მხრით, რომელნიც ამხელენ მუშკორების შენიშვნებში და წერილებში მოხსენებულ ფაქტების გამოძიებას და იღებენ შესაფერ ზომებს.

ამავე დროს მუშკორების, როგორც ასეთების, უფლებები დაცულია როგორც რედაქციების, ისე საბჭოთა ორგანოების მიერ. მუშკორი სარგებლობს ხელშეუხებლობით თავის საგაზეთო მუშაობისათვის, წინააღმდეგ შემთხვევებს პარტია და ხელისუფლება ებრძვიან.

მაგრამ შესაძლებელია და ხანდახან კიდეც იჩენს თავს ერთგვარი საფრთხე.

ეჭვი არ არის, რომ მუშკორთა ოჯახში შეეცდებიან შეძვრენ საეჭვო პირებიც, რომელთა მიზანია გამოიყენონ ეს საპატიო სახელწოდება პირადი წარმატებისათვის, ან ვინმესთან კერძო ანგარიშების გასასწორებლად.

ისინი მოიწადინებენ გაზეთი გადააქციონ თავიანთი პირადი ინტერესების გამტარებელ იარაღად. ჩვენ ვიცით საამისო მაგალითები *).

ამით ასეთი ელემენტები სცემენ გაზეთის და თვით მუშკორის პრესტიჟს.

რედაქციები სისტემატიურად ებრძვიან ასეთ მოვლენას და მუშკორთა, საერთოდ თანამშრომელთა რიგებიდან ულმობელად ყრიან ყველა იმათ, ვინც გამოიჩენს სულ მცირე გადახრას საზოგადო საქმისადმი სამსახურის ხაზიდან.

მაგრამ ეს ცოტაა. დღის წესრიგში არის დასმული მუშკორთა პირადი შემადგენლობის გენერალური გადასინჯვა. აუცილებლად საჭირო და დროული ღონისძიებაა.

გაწმენდა უნდა ჩატარდეს საფუძვლიანად. ეს უნდა მოხდეს მუშკორთა საერთო კრებებზე. ამ გზით ჩვენ შევსძლებთ ყველა საეჭვო ელემენტების განდევნას მუშკორთა ოჯახიდან.

ამასთან დაკავშირებით მკაფიოდ უნდა იქნას განსაზღვრული თვით ცნება მუშკორის. დღეს მუშკორთა შემადგენლობა ზოგან ჭრელია, მრავალფეროვანი. ვინ არ გინდათ არ ატარებდეს ამ სახელწოდებას—დაზგასთან მდგარი მუშაც, ,,ჩინოვნიკიც“, მიტმასნებული საშუალო თუ უმაღლესი განათლების ინტელიგენტიც, და სხ.

სიტყვა მუშკორს ჩვენ უნდა დაუბრუნოთ პირვანდელი აზრი. მუშკორთა შემადგენლობა უნდა იყოს ერთფეროვანი, ნამდვილი მუშური. მუშკორები უნდა იყვნენ დაზგასთან მომუშავენი. რა თქმა უნდა, სხვებსაც არ ეკრძალებათ გაზეთებში წერა, მაგრამ მათ ვერ მივაკუთნებთ მუშკორის სახელწოდებას.

ეს ზომა უეჭველად ერთგვარ გაჯანსაღებას შეიტანს საგაზეთო საქმეში.

შემდეგ: ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ მუშკორების საგაზეთო მუშაობის შინაარს და ხასიათს. აქა-იქ შემჩნეულია დაწვრილმანების, აგრეთვე „ობივატელურ“ ცნობის მოყვარეობის დონემდე დაქვეითების მოვლენები. ქვეყნდება მრავალი, საზოგადო ინტერესს მოკლებული, შემთხვევები, რომელთა აღმოფხვრა ადვილად შეიძლებოდა ადგილობრივ, გაზეთის დაუხმარებლად. საერთოდ წვრილმანებს, მათ გაშუქებას მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ეს უფრო მუშათა კლასის საქმის მთავარ საკითხებთან დაკავშირებით. სწორედ ეს კავშირი მთავარისა და მეორე ხარისხოვანის, შემთხვევითის არა იშვიათად ნაკლებად მოსჩანს ან სულ არ სჩანს მუშკორების შენიშვნებში.

ჩვენ უნდა ვებრძოლოთ მუშაკორესპონდენტის საგაზეთო მუშაობის ასეთ დაწვრილმანებას. არასოდეს არ უნდა იქნას მხედველობიდან გაშვებული საერთო პერსპექტივა, ცხოვრების ძირითადი მომენტები.

ამასთან მუშა-კორესპონდენტი არ უნდა გადაიქცეს „სენსაციურ“ ამბების რეგისტრატორად.

ეს საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული მუშა-კორესპონდენტების პოლიტიკურ და კულტურულ მომზადებასთან, მათი თვალთახედვის გაფართოვებასთან.

ეს საქმე, ცოდვა გამხელილი სჯობია, დღემდე ვერ არის რიგიანად დაყენებული. ლაპარაკით ბევრს ვლაპარაკობთ, მაგრამ პრაქტიკული მუშაობა სათანადოდ არ წარმოებს, და ნაყოფიც შედარებით მცირეა. ჩვენ მეგობრულად შევნიშნავთ ბეჭდითი საქმის მუშაკთა სექციის ბიუროს, რომელსაც დაკისრებული აქვს მუშკორთა კურსების ორგანიზაცია და გაძღოლა, რომ ამ დარგში ვერ გამოიჩინა საკმაო ფხა და უნარი. კურსები თუმცა მოეწყო, მაგრამ მისი პროგრამა შესაფერისად არ არის შემუშავებული; მეცადინეობა სისტემატიურად არ მიმდინარეობს, ხოლო რაც წარმოებს,—არა ყველა მსმენელებისათვისაა გასაგები.

საქმისათვის უფრო სასარგებლოდ მიგვაჩნია, თუ მუშკორებთან მეცადინეობა მოეწყობა ცალ-ცალკე თვითეულ რედაქციასთან, როგორც ამას ადგილი ჰქონდა და აქვს დღესაც— თუმცა არა ისე ენერგიულათ, როგორც წინეთ. ამას მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ამავე დროს ჩვენ არ უარვყოფთ ყველა მუშკორებისათვის დროგამოშვებით საერთო მოხსენებების მოწყობას. პირიქით, ეს საჭიროც არის.

თვით მეცადინეობის დროს ჩვენი გეზი უნდა ავიღოთ იქითკენ, რომ მუშკორები თანდათან გარდაიქმნენ მუშა-ჟურნალისტებად.

ეს მოითხოვს მუშკორების საკმაოდ ფართედ გაწვრთნას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საკითხებში, აგრეთვე წერის ტეხნიკის საფუძვლიანად შეთვისებას მათ მიერ.

მუშა-კორესპონდენტები მოწყურებული არიან ცოდნას და საგაზეთო მუშაობაში ფართე მონაწილეობის მიღებას. ისინი ხალისით იმეცადინებენ, თუ ეს მეცადინეობა ცოცხლად და შინაარსიანად იქნება დაყენებული.

გ. ქ.

---

*) იხ. მაგ. „Рабочая Правда“ № 7, წერილი: „Хулиганов вон из трудовой семьи!“

რადიო-დეპეშები

მილიერანი ამზადებს სამხედრო გადატრიალებას

მთავრობის შედგენა მიენდო მარსალს

მილიერანის გადადგომას გადაწყვეტილად სთვლიან

კომუნისტები დიდ კამპანიას ეწევიან მილიერანის წინააღმდეგ.

მილიერანის ხრიკები

ყველასათვის უცნობი კაცი.

პარიზი. 7 ივლისი. ფრანსუა მარსალი დასთანხმდა მთავრობის შედგენაზე.

ფინანსიური კომისია.

პარიზი. 7 ივლისი. საფრანგეთის პალატამ აირჩია ფინანსიური კომისია, და რომელიც უმთავრესად მემარცხენე პარტიების წარმომადგენლებისგან შესდგება. კომისიის თავმჯდომარეთ არჩეულია ერრიო.

ხმები სამხედრო გადატრიალების შესახებ.

პარიზი. 7 ივლისი. პარიზში გავრცელდა ხმები, რომ მზადდება სამხედრო გადატრიალება.

ოფიციოზური პრესა უარყოფს ხმებს, თითქო მილიერანს განზრახვა აქვს ძალას მიმართოს, რომ პრეზიდენტის პოსტი შეინარჩუნოს.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება მუშებისა და გლეხებისადმი, რომ მილიერანი გენერლების დახმარებით სამხედრო გადატრიალებას ამზადებს. ცეკა მოუწოდებს ჯარისკაცებს ფხიზლად იყონ.

კომუნისტების წინადადება.

პარიზი. 7 ივნისი. პარლამენტის კომუნისტურმა ფრაქციამ შეიტანა პარლამენტში რეზოლიუციის პროექტი, რომელიც მოითხოვს, რომ პარლამენტმა გარკვეული აზრი გამოსთქვას მილიერანის გადადგომის შესახებ.

მილიერანი უნდა გადადგეს

მარსალის კაბინეტი.—მილიერანის გადადგომის შესაძლებლობა.

ბერლინი. 8 ივნისი. სააგენტო იუწყება პარიზიდან, რომ დღეს ფრანსუა მარსალმა,—საფრანგეთის უკანასკნელ კაბინეტის ფინანსთა მინისტრმა,— თანხმობა განაცხადა საფრანგეთის კაბინეტის შედგენაზე. ალჟირის გენერალ-გუბერნატორმა სტეგმა, რომელსაც ამაზე წინ მიეცა წინადადება კაბინეტის შედგენისათვის, უარი განაცხადა შედგენაზე.

მილიერანმა განაცხადა, რომ ის გადადგება, თუ ვერ იპოვის უმრავლესობის წარმომადგენელს, რომელსაც შეეძლოს კაბინეტის შედგენა.

ლონდონი. 9 ივნისი. „დეილი მეილ“-ის პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, **რომ ფრანსუა მარსალი, რომელმაც იკისრა კაბინეტის შედგენა, სამშაბათს გამოაქვეყნებს დეპუტატთა პალატაში მილიერანის წერილს რადიკალ-სოციალისტების არა კონსტიტუციონურ საქციელის გამო. თუ ამ წერილისათვის ხმის მიცემისას მილიერანი დამარცხდა, მარსალიც და მილიერანიც, ალბად, გადადგებიან.**

მილიერანის მომავალი მემკვიდრე

ნაციონალური კრების მოწვევა.

ლონდონი. 9 ივნისი. **მილიერანის მემკვიდრეთ ასახელებენ სენატის თავმჯდომარეს გასტონ დუმერგს.**

პარიზი. 9 ივნისი. თუ ფრანსუა მარსალის ახალი კაბინეტი, რომელიც წარუდგება დეპუტატთა პალატას სამშაბათს, მიიღებს უმცირესობას, **პრეზიდენტი მილერანი წარუდგენს ორთავე პალატის თავმჯდომარეებს განცხადებას თავისი გადადგომის შესახებ.** მილერანის გადადგომის შემდეგ მოწვეული იქნება ორივე პალატის სხდომა ნაციონალური კრების უფლებებით, რომელიც აირჩევს ახალ პრეზიდენტს.

საფრანგეთი ჩვენ გვიცნობს

საუბარი ფრანგ სოციალისტ ჟუოსთან

ვენა. 7 ივნისი. ამსტერდამის ინტერნაციონალის მდივანმა, ფრანგმა სოციალისტმა ჟუომ „როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა:

„**მე მხარს ვუჭერ საბჭოთა კავშირის იურიდიულათ ცნობას. ამას მოითხოვენ აგრეთვე საფრანგეთის პროფკავშირები.** მოლაპარაკება საფრანგეთის მომავალ მთავრობასთან არავითარ გართულებას არ გამოიწვევს. ერთად ერთი დაბრკოლება შეიძლება გახდეს მეფის ვალების გადახდის საკითხი.

მიუხედავათ იმისა, რომ ერრიოს განცხადება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მომავალი ურთიერთობის შესახებ მეტად ბუნდოვანია, **გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ერრიო საბჭოთა კავშირის იურიდიულათ ცნობის მომხრეა. საერთოდ საფრანგეთის პროფკავშირები მოითხოვენ, რომ მომავალი მთავრობის პროგრამაში შეტანილი იქნეს მუხლი საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.** ეკონომიური და ფინანსიური სადაო საკითხები შეიძლება განხილული იქნეს შემდეგ.

მილიერანის გადადგომა აუცილებელია.

საფრანგეთის შინაური მდგომარეობის შესახებ, ჟუომ განაცხადა, რომ **მილიერანის გადადგომა აუცილებელია.** პროფკავშირები საფრანგეთის მომავალი მთავრობისაგან მოითხოვენ სრულ პოლიტიკურ თავისუფლებას, საყოველთაო ამნისტიას და სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნას.

კონტრიბუცია უნდა მივიღოთ.

საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის შესახებ, ჟუომ განაცხადა: „ჩვენ მომხრე ვართ რეპარაციების და მხარს უჭერთ ექსპერტთა გეგმას. ჩვენ მივიღებთ ყველა ზომებს, რომ დავიცვათ გერმანიის დემოკრატია რეაქციის თავდასხმისაგან“.

რუსეთის პროფკავშირები

რუსეთის პროფკავშირების შესახებ ჟუომ განაცხადა: „**მე მხარს უჭერ რუსეთის პროფკავშირების მიღებას ამსტერდამის ინტერნაციონალში, ვინაიდან შეუძლებელია ორი პროფინტერნის არსებობა.** ოღონდ რუსეთის პროფკავშირებმა მოისურვონ და გზა მათთვის არ არის დახურული“.

არავითარი სანტიმენტალობა.

ბერლინი. 7 ივნისი. გერმანიის ნაციონალისტების ორგანო სწერს: „**აღმოსავლეთ-ევროპის პოლიტიკის მთავარი საკითხი მდგომარეობს იმაში, თუ როგორი ურთიერთობა დამყარდება საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის. თუ საფრანგეთი ერრიოს მეთაურობით დაადგება რუსოფილურ პოლიტიკას, მაშინ, ცხადია, საბჭოთა მთავრობაც არ ჰკრავს ხელს გულზე საფრანგეთს.** ამავე დროს ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიის შორის ძალიან გართულებულია“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ბელადებს არ სწამთ არავითარი სანტიმენტალობა საგარეო პოლიტიკაში, ისინი მხოლოდ ანგარიშით ხელმძღვანელობენ.

გერმანიის ზოგიერთ გაზეთების ცნობით, მიუღებლად სთვლიან საბჭოთა მთავრობის წინადადებას სავაჭრო წარმომადგენლობის ექსტერიტორიალობის საკითხის საბოლოოდ გადაჭრის და სავაჭრო მოლაპარაკების განახლების შესახებ.

მემარცხენე ბლოკის პოზიცია

მარსალის თანამშრომლები.

პარიზი. 9 ივნისი. ფიქრობენ, რომ ხვალ დეპუტატთა პალატაში მემარცხენე ბლოკი შეიტანს წინადადებას მარსალის კაბინეტთან თანამშრომლობაზე უარის თქმის შესახებ.

მარსალმა მიიღო რეიბელი, ლუი დიუბუა, მისსოფი, ფლანდრინი, ლეფევრი, დიუპრე, ლანდრი და ჟიურდენი. მათ შორის უკანასკნელმა სამმა თანხმობა განაცხადა მარსალთან თანამშრომლობაზე. თანამშრომლობა აღუთქვეს მარსალს აგრეთვე კაპიუსმა და დეზირე ფრერიმ.

პრესის აზრი

რეჟიმის კრიზისი.

პარიზი. 7 ივნისი. თუმცაღა ოფიციალური პრესა ურიგდება პრეზიდენტის საწინააღმდეგო კამპანიას და მილიერანის გადადგომის შესაძლებლობასაც, მაგრამ მაინც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **საპრეზიდენტო კრიზისმა შეიძლება გამოიწვიოს მთელი რეჟიმის კრიზისი.** „აკრიონ ფრანსეზ“ (ფაშისტური გაზეთი) მოითხოვს მილიერანისაგან ენერგიულ წინააღმდეგობის გაწევას.

არავითარი განსხვავება.

„ფიგარო“ (ბულვარული გაზეთი) ფიქრობს, რომ არავითარი პროგრამული განსხვავება ერრიოსა და მილიერანს შორის არ არის და საქმე მხოლოდ პირად საკითხში მდგომარეობს.

როგორ გავაგდოთ მილიერანი.

მემარცხენე პრესა უფრო და უფრო აძლიერებს გალაშქრებას მილიერანის წინააღმდეგ.

„კოტიდიენ“-ი (მემარცხენე ბლოკის ორგანო) ენერგიულად აცხადებს, რომ **საკითხი იმაში კი არ არის, თუ როგორ წავა მილიერანი, არამედ იმაში, თუ როგორ გააგდებენ მას.**

„ერნუველ“ (მემარცხენე ბლოკის ორგანო) გაკვრით ეხება ხმებს სახელმწიფო სამხედრო გადატრიალების შესახებ და აცხადებს, რომ მილიერანის მხრივ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, თოფები თვითვე ასტეხენ სროლას.

„იუმანიტე“ აღნიშნავს, რომ კომუნისტებს თავისი ანგარიშები აქვთ გასასწორებელი მილიერანთან, რუსეთის რევოლიუციის მიმართ მისი საქციელის გამო.

პრესა ფიქრობს, რომ მილიერანი დაავალებს მემარჯვენე ბლოკის წარმომადგენლებს საპრეზიდენტო დეკლარაციის წაკითხვას პარლამენტში და მოითხოვს კენჭის ყრას ამ დეკლარაციისათვის. პრესას ეჭვი არ შესდის იმაში, რომ კენჭის ყრის შედეგები არ იქნება მისთვის ხელსაყრელი.

გაფიცვა ინგლისში

რკინისგზელთა გაფიცვა ფართოვდება

ლონდონის ცენტრალური რკინის გზა არ მუშაობს

დიდი რკინის გზის მუშებმა სოლიდარობის ნიშნად გაფიცვა გამოაცხადეს

რკინისგზელთა დელეგატების კონფერენცია.

ლონდონი. 7 ივნისი. რკინისგზელთა და მემანქანეთა საერთო ნაციონალური კავშირის დელეგატთა კონფერენციამ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ რკინისგზის კამპანიებს მიეცა განსაზღვრული ვადა მემანქანეთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ. **მემანქანეები მოითხოვენ კვირის მუშაობისათვის სრული სამუშაო ხელფასის უზრუნველყოფას, მუშაობის არანორმალურ კლასიფიკაციის მოსპობას.**

რკინისგზელების ულტიმატუმში ნათქვამია, რომ გამოცხადებული იქნება გაფიცვა, თუ მოთხოვნილებები სავსებით არ იქნება დაკმაყოფილებული.

გაფიცვა ფართოვდება.

ლონდონი. 7 ივნისი. **ჩრდილოეთის დიდი რკინისგზის სახელოსნოების მუშებმა ლონდონსა და ლანკასტერში გაფიცვა გამოაცხადეს.**

გაფიცვა ლონდონის ელექტროსადგურებში ფართოვდება.

ლონდონის ცენტრალური რკინისგზა არ მუშაობს. მოდის ცნობები, რომ მუშაობა წყდება რკინისგზის სხვა ხაზებზეც.

კავშირები უერთდებიან გაფიცვას.

ლონდონი. 7 ივნისი. ელექტრო-

პოლონელ პანების პროვოკაციის წინააღმდეგ

საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის პრესის განყოფილების განცხადება

მოსკოვი. 9 ივნისი. რეიტერის და ჰავასის სააგენტომ გამოაქვეყნეს ვარშავიდან გამოგზავნილი დეპეშა ამხ. ტროცკის სიტყვის შესახებ. დეპეშა აწერს ამხ. ტროცკის განცხადებებს იმის შესახებ, თითქოს სტამბოლი და სრუტეების ხელში ჩაგდების საჭიროება უკარნახებს საბჭოთა კავშირს შეიერთოს ბესარაბია.

სტამბოლის და სრუტეების ხელში ჩაგდება,—მეფის მთავრობის სანუკვარი ოცნება,—ძირიანათ ეწინააღმდეგება საბჭოთა მთავრობის პრინციპებს და, აგრეთვე, ამხ. ტროცკის პირად შეხედულებებს. საბჭოთა მთავრობის წევრებს და კერძოთ ამხ. **ტროცკის არა ერთხელ განუცხადებიათ თავის უკანასკნელ გამოსვლებში, რომ საბჭოთა კავშირს არა აქვს განზრახვა ბოლო მოუღოს რუმინეთის ოკუპაციას სამხედრო გამოსვლის საშუალებით.** გარდა ამისა, ამხ. ტროცკის დღიდან დაბრუნებისა კავკასიიდან თავისი ავადმყოფობის შემდეგ, მოსკოვი არ დაუტოვებია და არც პოდოლსკში და ან სადმე სხვაგან არ გაუკეთებია ვარშავაში ტლანქათ შეთხზული განცხადება.

გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის პრესის განყოფილება აღნიშნავს, რომ ასეთ ჭორებს მხოლოდ ის **მიზანი აქვთ, რომ ევროპის საზოგადოებრივ აზრს დაუფარონ საქმეთა ნამდვილი ვითარება ბესარაბიაში, სადაც ამ ჟამათ სწარმოებს რუმინეთის ჯარების კონცენტრაცია.** საყოველთაო მშვიდობიანობისათვის პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული საბჭოთა მთავრობა, მიუხედავათ რუმინეთის სამხედრო დემონსტრაციისა, არ გადაიხრება ვენის კონფერენციაზე დაჭერილ პოზიციისაგან, სახელდობრ, მოთხოვნილებისაგან, რომ რუმინეთის სამხედრო ოკუპაციას ბესარაბიაში ბოლო მოეღოს და ბესარაბიის მთელს მოსახლეობას მიეცეს თვითგამორკვევის უფლება პლებისციტის სახით.

ნის მრეწველობის მუშათა კავშირმა წინადადება მისცა თავის წევრებს, რომლებიც მუშაობენ ლონდონის რკინისგზების ელექტრო-სადგურებში, შეუერთდნენ გაფიცვას.

ეს არის პირველი კავშირი, რომელმაც ოფიციალურად დაუჭირა მხარი რკინისგზელთა გაფიცვას.

მუშათა სოლიდარობა.

ლონდონი. 7 ივნისი. **გაფიცვა, რომელიც დაიწყო ლონდონის მიწისქვეშა რკინისგზაზე, ფართოვდება; ტრანსპორტის ექვსი ათასმა მუშამ ნიშნად სოლიდარობისა გაფიცვა გამოაცხადა.** დამხმარე რკინისგზელ მუშების და ელექტრო-სადგურების მუშების აღმასკომის სხდომაზე გადაწყდა წინადადება მიეცეს მუშებს, რომლებსაც კომიტეტი აკავშირებს, შეუერთდნენ გაფიცვას.

ზოგიერთი გაზეთები დაჟინებით ამტკიცებენ, რომ „გაფიცვა კომუნისტური გავლენით არის გამოწვეული“.

გაფიცულია 67 ელექტრო-სადგური.

ლონდონი. 7 ივნისი. რკინისგზელთა გაფიცვა ფართოვდება. **ლონდონში დაიხურა 67 ელექტრო-სადგური.** გაფიცვის კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ **გაფიცულები მტკიცედ იცავენ თავის მოთხოვნილებებს** და რომ ყველა რკინისგზელების—რომლებიც ჯერ გაფიცულნი—მოვალეობას შეადგენს დაუყოვნებლივ შეუერთდნენ გაფიცულებს და აიძულონ კავშირის აღმასკომი მხარი დაუჭიროს გაფიცვას.

გაფიცვის საფრთხე საიმპერიო გამოფენაზე

ლონდონი. 7 ივნისი. „დეილი ჰერალდ“-ი იუწყება, რომ თუ პავილიონების პატრონები საიმპერიო გამოფენაზე არ დააკმაყოფილებენ მუშების მოთხოვნილებებს, გაფიცვა აუცილებელია. მუშები მოითხოვენ: დაწესდეს, როგორც მინიმუმი, ერთი კვირის ხელფასად 4 გირვ. სტერლინგი, 46 საათი მუშაობა კვირაში.

„ნდობით აღჭურვილი“ გერმანიის მთავრობა

ბერლინი. 7 ივნისი. ნაციონალისტმა შიანგმა—მემამულეების წარმომადგენელმა, აღნიშნა რეიხსტაგში, რომ ნაციონალისტები არ მოაწერენ ხელს ისეთ პირობებზე, რომელთა შესრულება შეუძლებელია.

მოკავშირეებმა უნდა იცოდნენ, რომ საშიშია გერმანიის ხალხის მიყვანა სასოწარკვეთილებამდე.

ისეც და ასეც.

სოციალ - დემოკრატმა ბრეიდტშეიდმა განაცხადა, რომ ექსპერტთა მოხსენება მიღებული უნდა იქნეს უშენიშვნოდ, რაც შეიძლება დაჩქარებით.

სოციალ-დემოკრატები, ღებულობენ რა ექსპერტთა მოხსენებებს, ამით სრულ ნდობას არ უცხადებენ მარქსის მთავრობას და არ სურთ მისი დაცემა იმიტომ, რომ „გრძნობენ პასუხისმგებლობას გერმანიის ხალხის წინაშე“. ბრეიდტშეიდის სიტყვას დაცინვით შეხვდნენ მემარჯვენეები და კომუნისტები.

საპარლამენტო ბაზარი.

კომუნისტმა მასლოვსკიმ განაცხადა, რომ მთელი ეს საპარლამენტო **ბაზარი ზიზღს იწვევს, და კომპარტია იბრძოლებს იმისათვის, რომ ეს პარლამენტი ადრე გადაშენდეს.** შემდეგ მასლოვსკი აღნიშნავს ერთიანი კაპიტალისტური ფრონტის არსებობას—დაწყებული მემარჯვენეებით და გათავებული სოციალ-დემოკრატებით.

ექსპერტთა მოხსენება მორგანის მოხელეების შედგენილია.

ფაშისტი—გრაფი რევენტლოვი აკრიტიკებდა ექსპერტთა მოხსენებას, რომელიც, მისი სიტყვით, შედგენილია ამერიკელ მილიარდერის მორგანის მოხელეების მიერ.

უბადრუკი „ნდობა“.

კენჭის ყრის შემდეგ მთავრობისათვის ნდობის ვოტუმი მიღებულ იქნა 46 ხმის უმეტესობით.

კომპარტიის წინადადება, რომელიც მოითხოვდა შემდეგი სხდომის დღის წესრიგში მუშათა კონგრესის აკრძალვის საკითხის დასმას, კვლავ უარყოფილ იქნა უმრავლესობის მიერ სოციალ-დემოკრატების და კომუნისტების ხმების წინააღმდეგ. მიუხედავად, კომუნისტების და ტევტონელების პროტესტისა, რეიხსტაგი გაშვებულია 24 ივნისამდე.

ნდობის გამოცხადება მთავრობისათვის.

ბერლინი, 9 ივნისი. მთავრობის წრეებში გაცხოველებით არჩევენ კენჭის ყრის შედეგებს რეიხსტაგში, რომელმაც მისცა მთავრობას ხმის უმრავლესობა.

პრესას შესაძლებლათ მიაჩნია ცენტრისა და სოციალ-დემოკრატიის კოალიცია და სრულ კმაყოფილებას გამოსთქვამს კენჭის ყრის შედეგებით. შექმნილ მდგომარეობის წყალობით რეიხსტაგის უმრავლესობით გამაგრებულ **მთავრობას საშუალება ეძლევა გულდამშვიდებით შეუდგეს გეგმაშეწონილ მუშაობას.**

„ფორვერტს“-ი ამბობს: „ვინაიდან გერმანიამ ნათლათ გამოსთქვა თავისი კეთილი ნებისყოფა, მას უფლება აქვს იმედი იქონიოს, რომ მოკავშირეები სავსებით მისცემენ მას იმ შემამსუბუქებელ პირობებს, რომლებიც გათვალისწინებულია ექსპერტთა მოხსენებებში.

რეიხსტაგის კომისიები.

ბერლინი, 9 ივნისი. რეიხსტაგში უკვე ჩამოყალიბდა კომისიები. გარეშე საქმეთა კომისიის თავმჯდომარეთ არჩეულია სოციალისტი მიულერი. კომისიის პირველი სხდომა დანიშნულია 17 ივნისისათვის. **დღის წესრიგში სდგას ექსპერტთა მოხსენების და გერმანიის და საბჭოთა კავშირის კონფლიქტის განხილვა.**

ეკონომიურ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეთ არჩეულია ნაციონალისტი ობერფორენი.

[illegible] საქსონიის ლანდტაგში.

ბერლინი. 7 ივნ. საქსონიის ლანდტაგში ადგილი ჰქონდა მეტად მღელვარე სცენას, რაც **შედეგად მოჰყვა კომუნისტური ფრაქციის პროტესტს კომუნისტური პრესის აკრძალვის შესახებ.**

როდესაც კომფრაქციის წინადადება უარყოფილ იქნა უმრავლესობის მიერ კომუნისტების და მემარცხენე სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, კომუნისტმა დეპუტატმა ბეიტმა თავმჯდომარეს ხელიდან გამოსტაცა ზარი და გაიქნია ის ფეხით სხდომის დარბაზში. **ბეიტს, რომელსაც წაერთვა სხდომაზე მონაწილეობის უფლება, უარი სთქვა სხდომის დატოვებაზე, რის შემდეგაც ის გაყვანილ იქნა პოლიციის დახმარებით.** სხდომის განახლების შემდეგ ბურჟუაზიულ პარტიების ხმების უმრავლესობით მიღებულ იქნა დადგენილება, რომლითაც ერთმევათ იმუნიტეტი კომუნისტ დეპუტატებს—ციპფელს და ელრონსტს.

იაპონია და ამერიკა

ამერიკის ელჩმა დასტოვა ტოკიო

იაპონიაში მოხდა ამერიკელების დარბევა

გადადგა იაპონიის მთავრობა

ამერიკის ელჩმა დასტოვა ტოკიო.

ბერლინი. 9 ივნისი. იაპონიიდან მიღებული ცნობით, შეერთებული შტატების ელჩმა დასტოვა ტოკიო.

გამოსვლები ამერიკის წინააღმდეგ.

ლონდონი. 9 ივნისი. „დეილი-მეილის“ კორესპონდენტის ცნობით ტოკიოდან, **ანტი-ამერიკულმა მოძრაობამ იაპონიაში განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია.**

ხალხი შეიჭრა სასტუმროს დარბაზში, სადაც ჩვეულებრივათ იმართებოდა უცხოეთის კოლონიის საღამო. ხალხმა შესწყვიტა ცეკვა და სასტიკი პროტესტი განაცხადა ამერიკის პოლიტიკის წინააღმდეგ, **ხალხმა მოითხოვა ამერიკელების განდევნა იაპონიიდან.** იაპონიის პოლიციას არ მიუღია არავითარი ზომები. იაპონიის პრესამ იცოდა ინციდენტის შესახებ, ვინაიდან ფოტოგრაფები წინასწარ გაგზავნა სასტუმროში.

ბრბო შეიჭრა ამერიკელების სახლებში, პოლიციას არ მიუღია არავითარი ზომები.

ვაშინგტონში ოფიციალური წრეები არავითარი მნიშვნელობას არ აძლევენ ამ ამბებს, ვინაიდან დარწმუნებული არიან, რომ იაპონიის მთავრობა შემარიგებელ პოლიტიკას აწარმოებს. ვაშინგტონში დარწმუნებული არიან, რომ იაპონიის მთავრობა მიიღებს შესაფერ ზომებს ამერიკის მოქალაქეთა დასაცავად თავდასხმისაგან.

იაპონიის მთავრობის გადადგომა.

ლონდონი. 9 ივნისი. **რეიტერის სააგენტოს ცნობით, ვიკონტ კიურის კაბინეტი გადადგა.**

ყვითელი ინტერნაციონალის კონგრესი

კონგრესმა მიიღო მთელი გროვა რეზოლუციებისა

კონგრესი „მომხრეა“ 8 საათის სამუშაო დღის

ავსტრიის რევოლუციონური პროფკავშირები გამოდიან კონგრესის წინააღმდეგ

ვენა. 6 ივნ. ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესის სხდომაზე გრძელდებოდა კომისიების მოხსენებათა განხილვა.

რასაკვირველია, უარყოფდენ.

ინგლისის დელეგაციის რეზოლუცია რკინისგზების, სამთომადნო წარმოების და სხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა ნაციონალიზაციის შესახებ, უარყო კონგრესის კომისიამ და პლენუმმა.

კომპრომისული რეზოლუცია.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ საორგანიზაციო კომისიამ ხმების უმრავლესობით ინგლისელების წინააღმდეგ უარყო უკანასკნელთა წინადადება საბჭოთა პროფკავშირებთან მოლაპარაკების განახლების შესახებ და მიიღო კომპრომისული რეზოლუცია. ამ რეზოლუციაში გამოთქმულია მწუხარება, რომ საბჭოთა პროფკავშირები, რომლებმაც არ მიიღეს ამსტერდამის ინტერნაციონალის დადგენილებები, დღემდი მის გარეშე იმყოფებიან. კონგრესი წინადადებას აძლევს ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიუროს მიიღოს ზომები შეძლებისდაგვარათ საბჭოთა პროფკავშირების ჩასაბმელათ საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობაში ისე, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალის ავტორიტეტი არ შეილახოს.

ფიმმენმა განაცხადა, რომ თუმცა საბჭოთა პროფკავშირებთან დაახლოვების მომხრეები მოითხოვენ უფრო გარკვეულ დადგენილების გამოტანას, მაგრამ სასიხარულოა, რომ კონგრესმა ასეთი რეზოლუცია მაინც გამოიტანა. ფიმმენი წინადადებას იძლევა გამორიცხული იქნეს რეზოლუციიდან სიტყვები „ისე, რომ არ შეილახოს ამსტერდამის ინტერნაციონალის ავტორიტეტი“. მთელი რიგი ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ფიმმენის წინადადება მიუღებელია, რადგან ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას თითქო ამსტერდამის ინტერნაციონალი მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება საბჭოთა პროფკავშირებთან ყოველგვარ პირობებში. ფიმმენის შესწორება უარყოფილი იქნა.

ცარიელი სიტყვები.

კონგრესმა მიიღო რეზოლუცია 8 საათის სამუშაო დღის შესახებ. რეზოლუცია აღნიშნავს, რომ საჭიროა საერთაშორისო კამპანიის დაწყება 8 საათის სამუშაო დღის დასაცავად და მის შემოსაღებად იმ ქვეყნებში, სადაც ის ჯერ კიდევ შემოღებული არ არის.

მიღებულია აგრეთვე სამთომადნო წარმოების მუშათა საერთაშორისო გაერთიანების რეზოლუცია, რომ სარეპარაციო გადასახადების გადახდის დროს გერმანიის სამთო-მადნო წარმოების მუშათა ინტერესები დაცული იყოს.

ბიუროს არჩევნები.

კონგრესმა აირჩია ბიურო და გენერალური საბჭო. ბიუროს თავმჯდომარე—პერსელი (ინგლისი), თავმჯდომარის მოადგილე—ჟუო, მარტენსი და ლეიპარტი, მდივნები—ბრაუნი, უდეგესი და ზასენბახ.

შემდეგი კონგრესი გაიმართება პარიზში. პერსელის სიტყვის შემდეგ კონგრესი დაიხურა.

ავსტრიის რევოლუციონური პროფკავშირების პროტესტი.

ვენა. 7 ივნისი. **ავსტრიის რევოლუციონურმა პროფკავშირებმა მოაწყვეს რევოლუციონური პროფკავშირების წევრთა მიტინგი და დემონსტრაცია.** მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირის წარმომადგენელმა მოდენოვმა და პროფინტერნის წარმომადგენელმა კორიჩონერმა.

ერთხმად მიღებული რეზოლუცია აღნიშნავს, რომ **ამსტერდამის ინტერნაციონალი აწარმოებს ერთიანი ფრონტის საბოტაჟს. მიტინგმა პროტესტი განაცხადა ამსტერდამელების პოლიტიკის წინააღმდეგ.**

მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის პლენუმი

ვენა, 7 ივნისი. შესდგა მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის პლენუმი, რომელსაც დაესწრნენ დელეგატები: ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, ავსტრიის, იტალიის, დანიის, პოლონეთის, ჩეხო-სლოვაკიის, უნგრეთის, ჰოლანდიის, ესპანეთის, ლატვიის, სამხრეთ-სლავიის, ბულგარეთის, სომხეთის და აგრეთვე რუსი მენშევიკები. სხდომა გაიხსნა ვანდერველდეს თავმჯდომარეობით.

მოხსენება სამდივნოს მუშაობის შესახებ გააკეთა ფრიდრიხ ადლერმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მეორე ინტერნაციონალი გაძლიერდა იმ წარმატების წყალობით, რომელსაც მიაღწიეს საფრანგეთის, დანიის და იტალიის სოციალისტურმა პარტიებმა. ვანდერველდეს წინადადებით, აღმასკომმა დაადგინა მომავალი პლენუმის დღის წესრიგში დასვას საკითხი პირველი მაისის ჩატარების შესახებ თითეულ ქვეყანაში.

აჯანყება ალბანეთში

აჯანყებულების ხელშია მთელი სამხრეთ და ჩრდილოეთ ალბანეთი

მთავრობის ჯარი სუსტ წინააღმდეგობას უწევს აჯანყებულებს

იტალია ეხმარება აჯანყებულებს

იტალიის და სამხრეთ-სლავიის ნეიტრალიტეტი.

რომი. 7 ივნისი. იტალიის გაზეთების ცნობით, მოხდა შეთანხმება იტალიასა და სამხრეთ-სლავიის შორის ალბანეთის შინაურ საქმეებში არ ჩარევის შესახებ.

რეგენტი ბარიში.

ბერლინი. 9 ივნისი. რომიდან მიღებული ცნობით **ალბანეთის რეგენტი გაიქცა** და ორი დეპუტატის თანხლებით იტალიის ნაღმოსანით ჩავიდა ბარიში.

ჯარებს აგროვებენ.

ლონდონი. 9 ივნისი. **სამხრეთ-სლავია ჯარებს უყრის თავს უსკუბთან და პრიზრენთან, საბერძნეთი—ფლორინასთან და იანინასთან.** იტალიამ აცნობა ორივე ამ სახელმწიფოს, რომ ალბანეთის საქმეებში ჩარევა შეფასებული იქნება, როგორც მტრული აქტი იტალიის მიმართ.

იტალია ეხმარება აჯანყებულებს.

ლონდონი. 9 ივნისი. სერბიის ოფიციალური ორგანო „პოლიტიკა“ იუწყება, რომ **იტალიის მთავრობა ფინანსიურ დახმარებას უწევს აჯანყებულებს.**

იტალიის ელჩმა ბუდაპეშტში განაცხადა, რომ შიში, თითქო იტალია ჩაერევა ალბანეთის საქმეებში, უსაფუძვლოა.

მეამბოხეთა გამარჯვება.

რომი. 8 ივნისი. ბელგრადის გაზეთების ცნობით **ალბანეთის მეამბოხეებმა დაიკავეს სკუტარი, სადაც ზიდიან დამხმარე ძალებს დულჩინოზე გასალაშქრებლათ;** ფიქრობენ, რომ დულჩინოში მთავრობის ჯარები ემზადებიან წინააღმდეგობის გაწევისათვის. მეამბოხეთა მიერ დაკავებულ რაიონებში გამოცხადებულია საალყო წესები. სატელეგრაფო დამოკიდებულება ტირანსა და დურაცოს შორის შეწყვეტილია.

ბერლინი. 8 ივნისი. იტყობინებიან ალბანეთის ეროვნული კრების თავმჯდომარეს ფრასხარის მოკვლის შესახებ; ხმების მიხედვით, მოკლულია აგრეთვე იმ კომისიის თავმჯდომარე, რომელმაც ანგორაში მეგობრული ხელშეკრულება დასდო ალბანეთსა და ოსმალეთს შორის.

ბერლინი. 8 ივნისი. ნიუ-იორკიდან მიღებულ ცნობების თანახმად, შეერთებული შტატები, იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის ინტერესები საფრთხეში იქნება ალბანეთში, გაგზავნის იქ თავის ნაღმოსნებს.

ბურჟუაზია სოციალ-დემოკრატების დახმარებით

რეიხსტაგში მენშევიკ-სოციალ-დემოკრატებმა ხმა მისცეს ექსპერტთა საკონტრიბუციო გეგმას, რომლის მთელი სიმძიმე აწვება გერმანიის მშრომელ ხალხს.

(გაზეთებიდან).



გერმანელ მუშის ზორბა სხეულსა,
ამ ხამ წურბელ ქვეშ წამოქცეულსა,
სოციალიზმის ეს „პიგმეები“
ზედ დახწოლიან, ვით მძღეთ-მძღეები:
აღარ აძლევენ იმას გასაქანს,
არც სწყვეტენ თავის ფაშრო ქაქანს
და ასე მუშა ხალხის წურბელებს
სისხლის წოვაში უხსნიან ხელებს!..

იტალიის პრესის გამოძახილი.

რომი. 8 ივნისი. იტალიის ფაშისტური პრესა აღშფოთებულია საფრანგეთის გაზეთების ცნობებით ჯარების კონცენტრაციის შესახებ სიცილიაში; საფრანგეთის პრესა აღნიშნავს, რომ ამ კონცენტრაციის მიზანი გამოაშკარავებული იქნა პარლამენტის გახსნის დროს იტალიის მეფის მიერ წარმოთქმულ ფრაზაში: „ჩვენ უფრო ვალონის ბედი გვაინტერესებს, ვიდრე სმირნის მომავალი“.

მთავრობის სათავეში—მღვდელი.

რომი. 8 ივნისი. ვალონში ალბანეთის ნაციონალისტებმა შეადგინეს მთავრობა, რომელსაც მეთაურობს ალბანელი კათოლიკე მღვდელი; ამ უკანასკნელმა განათლება მიიღო იტალიაში.

აჯანყებულები წინ მიიწევენ.

ლონდონი. 9 ივნისი. **აჯანყებულების ხელშია მთელი სამხრეთ და ჩრდილოეთ ალბანეთი. ბრძოლა სწარმოებს ტირანა ალესიოს ხაზზე. მთავრობის ჯარები სუსტ წინააღმდეგობას უწევენ აჯანყებულებს.**

სხვა და სხვა

— **მუშათა ყრილობის აკრძალვა.** გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა იარესმა აკრძალა მუშათა ყრილობა, რომელიც 8 ივნისს უნდა შემდგარიყო ლეიპციგში.

— **პროვოკაცია.** რუმინეთის „ობრანკა“ იუწყება, რომ ბესარაბიაში აღმოჩენილია ჯაშუშთა ორგანიზაცია. ბესარაბიაში ტერორი გააძლიერეს.

— **მბეჭდავების გაფიცვა.** მემელში (ლიტვა) დაიწყო მბეჭდავების საყოველთაო გაფიცვა. გაზეთები არ გამოდიან.

— **ანტიმილიტარული გამოსვლებისათვის.** მაინცის ფრანგების სამხედრო სასამართლოში დაიწყო გერმანელ კომუნისტების და ფრანგ ჯარისკაცების საქმის გარჩევა. მათ ბრალდებათ ანტიმილიტარისტული გამოსვლები. დამცველებმა ნიშნათ პროტესტისა დასტოვეს სასამართლო. საქმის გარჩევა მაინც გრძელდება.

— **ფაშიზმის თარეში.** იტალიის ფაშისტურ წრეებს ძლიერ აფიქრებს ოპოზიციის გამოსვლები პარლამენტში. ფაშისტური გაზეთები მოითხოვენ პარლამენტის გარეკვას. ფაშისტური პარტიის საბჭომ გამოიმუშავა ზომები ოპოზიციის ასალაგმავათ.

— **ამერიკის განიარაღება.** ამერიკის სენატში ირჩევა სამხედრო გემების შორის მსროლელი ზარბაზნებით შეიარაღების საკითხი.

— **საჰაერო მიმოსვლა.** ახლო ხანში დაიწყება საჰაერო მიმოსვლა ლონდონსა და პარიზს შუა. სამგზავრო ჰაეროპლანი ერთდროულათ გადაიყვანს 23 მგზავრს.

— **პოლონეთის მრეწველობა კატასტროფის წინ.** პოლონეთის მრეწველობის ფინანსიური მდგომარეობა კატასტროფიულია. მრავალი მსხვილი ფირმა დაიხურა.

— **დაუპატიჟებელი სტუმრები.** რიგაში ჩავიდა ინგლისის ესკადრა, რომელშიც შედის ერთი კრეისერი და 4 ნაღმოსანი.

ადგილობრივი ბიუჯეტი ა.-კავკასიაში

4 *)

1921 წელში ადერბეიჯანში არავითარი ადგილობრივი გადასახადი არ არსებობდა. ადგილობრივი მეურნეობა მხოლოდ სახელმწიფო ხაზინას ემყარებოდა. პირველი დეკრეტი ადგილობრივ ბიუჯეტის გამოყოფის შესახებ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადერბეიჯანში გამოვიდა 1921 წლის 7 დეკემბერს. ადგილობრივი ორგანოები შეუდგნენ განცალკევებულ ბიუჯეტების შედგენას, მაგრამ მისი განხორციელება შეუძლებელი იყო, რადგან არავითარი კანონი შემოსავლის და გასავლის გამწესრიგებელი სახელმწიფოსა და ადგილობრივ ორგანოთა შორის არ არსებობდა. მხოლოდ 1922 წლის 13 თებერვალს პირველად გამოდის კანონი ადგილობრივ ორგანოთა შემოსავლის შესახებ, რომელსაც საფუძვლად დაედო რ. ს. ფ. ს. რ-ის დეკრეტები 1921 წლის 29 აგვისტოსი და 3 დეკემბრისა. ამ დეკრეტით ადგილობრივ ორგანოთ ეძლეოდათ: გადარიცხვანი სახელმწიფო გადასახადებიდან, დამატებანი სახელმწიფო გადასახადებზე და ადგილობრივი გადასახადები. თვით ადგილობრივი გადასახადები ამ კანონით გათვალისწინებული იყო 42, მაგრამ ადერბეიჯანის ადგილობრივმა ორგანოებმა ამ ხანაში შემოიღეს მხოლოდ ისეთი ადგილობრივი გადასახადები, რომელთაგანაც დიდს ფინანსიურ შედეგებს ელოდნენ დაბეგვრის ობიექტების გამოაშკარავებაზედ ხარჯის გაუწევლად. ამგვარი წყაროები კი ნაკლები იყო, რის გამო ადგილობრივ ორგანოთ საკმაო შემოსავალი არ ჰქონდათ და იქაც ადგილობრივი ორგანოები სახელმწიფო დახმარებას ითხოვდნენ, ან და უკანონო გადასახადებით იკმაყოფილებდენ მოთხოვნილებებს. აზერბაიჯანშიც, როგორც საქართველოში, გეგმაშეწონილ მეურნეობის წარმოებას ხელი მოკიდა მსხვილმა სავაჭრო-სამრეწველო ცენტრმა—ბაქომ და იმანაც, როგორც თბილისმა, პირველმა გამოაცხადა, რომ იგი შესძლებს ადგილობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ადგილობრივ საშუალებებით.

1922 წელს ადერბეიჯანში სულ შემოვიდა 122.901.693.861 მან. ა | ქ. ფულის ნიშნებით. (სამწუხაროდ არა გვაქვს ნაანგარიშევი ოქროს მანეთებში, შეუძლებელია ანგარიშიც, რადგან სხვა და სხვა დროს არის შემოსული ეს თანხა, როდესაც სხვა და სხვა კურსი არსებობდა). აქედან—გადასახადების—26.174.866.417 მან.

კომუნალურ მეურნეობიდან— 96 729,827,434 მან.

უმთავრესი შემოსავალი მაშასადამე მიუღია ადერბეიჯანს კომუნალურ მეურნეობიდან. მაგრამ ეს შემოსავალი არის უმთავრესად ქ. ბაქოს შემოსავალი. თუ გამოვაკლებთ ქ. ბაქოს შემოსავალს, ჩვენ მივიღებთ შემდეგ ციფრებს:

გადასახადებიდან — 3.944.499.980 მან.

კომუნ. მეურნეობიდან 4.281.614.769 მან.

სომხეთში ადგილობრივი მეურნეობა ბევრად ცუდს პირობებში იყო გასაბჭოებამდისაც, ვიდრე საქართველოში ან ადერბეიჯანში. სომხეთი—მუდმივი იმპერიალისტური და სამოქალაქო ომიდან გამოვიდა უფრო დაზიანებული, ვინემ მისი მეზობელი რესპუბლიკები: ხალხი გაღატაკებულია და აწიოკებული, მეურნეობა განადგურებული. ამ პირობებში ადგილობრივი მეურნეობის აღდგენა ძნელი იყო და ამიტომაც ის მეტად [illegible] და დიდი ენერგიის [illegible] სწარმოებდა.

პირველი ნაბიჯი ადგილობრივ ფინანსების აღსადგენათ გადადგმულ იქნა სომხეთის ცაკის მიერ 1922 წლის 15 იანვარს, როდესაც მან გამოაქვეყნა კანონი ადგილობრივ ორგანოთა შემოსავლის და გასავლის შესახებ. სდგება აქა-იქ ადგილობრივი ბიუჯეტები, დიდის დეფიციტებით, ზოგან სულაც არა. (ცნობები 1922 წლის შემოსავლის შესახებ სომხეთში არა გვაქვს).

ადგილობრივ ფინანსების ცალცალკე რესპუბლიკებში გაერთიანებამდის არსებულ მდგომარეობის განხილვიდან სჩანს, რომ ყველა ამ რესპუბლიკებში თითქმის ერთგვარი მდგომარეობა იყო გაერთიანებამდის: ყველგან ადგილობრივი ხარჯები იფარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, არსად არ არსებობს სწორი ბიუჯეტები და ანგარიში, ყველგან ეტყობა ადგილობრივ მეურნეობას დეზორგანიზაცია და უძლურება, საგადასახადო აპარატის შესუსტება და მოდუნება. ეს უარყოფითი ერთგვარობა სხვა და სხვა რესპუბლიკაში განირჩევა მხოლოდ ხარისხებით და რაოდენობით. სხვა და სხვა დროს თვითეულს რესპუბლიკაში, სხვა და სხვა ტემპით მიმდინარეობს ადგილობრივ მეურნეობის აღდგენა, ნიადაგი ესინჯება ადგილობრივ გადასახადებს. მხოლოდ საერთო ფედერატიულ კანონის გამოცემის შემდეგ, იქმნება ერთიანი სამეურნეო ოპერატიული გეგმა და ეს გეგმა თანდათანობით მტკიცდება.

⁂

სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის შემდეგ საჭირო შეიქნა კავშირის ყველა წევრებ რესპუბლიკებისათვის ერთგვარი კანონმდებლობა ადგილობრივ ფინანსების დარგში, საჭირო გახდა განცალკევებულ დეკრეტების, დადგენილებების და სხვა აქტების კოდიფიკაცია, გაერთიანება. ეს კანონის ერთგვაროვნება და კოდიფიკაცია კავშირის ცაკმა დაადასტურა 1923 წლის 12 ნოემბერს, რომელშიაც მიიღო „დროებითი დებულება ადგილობრივ ფინანსების შესახებ“. მესამე სესია კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა მეტად საფუძლიანად მოეპყრა ადგილობრივ ფინანსების საკითხს და დიდი ყურადღება მიაქცია მის მნიშვნელობას სახელმწიფო ფინანსიურ სისტემაში. მის მიერ მიღებული დროებითი დებულება ადგილობრივ ფინანსების შესახებ უნდა გავრცელდეს კავშირში შემავალ ყველა რესპუბლიკაში, თუმცა იმავე დებულებით თვითეულს რესპუბლიკას უფლება ეძლევა დებულებაში შეიტანოს ყველა ის ცვლილება, რომელთა შეტანა აუცილებელია ადგილობრივ პირობების მიხედვით. ა.-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში კი დროებით დარჩა არსებული მდგომარეობა, მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე.

რა შეიტანა ახალი რამ ადგილობრივ ფინანსებში ხსენებულ დროებითი დებულებამ? განვიხილოთ ჯერ პრინციპიალური განსხვავება ძველსა და ახალ კანონს შორის.

ამ დებულების გამოცემამდე ხშირად ხდებოდა, რომ საბიუჯეტო წლის განმავლობაში, შუა წელში, ადგილობრივ ბიუჯეტზე ხშირად გადაიტანდენ ხოლმე ისეთს ხარჯებს, რომელთა გაწევა ადგილობრივ ორგანოს არ შეეძლო. ეს გარემოება საშინელ არევ-დარევას იწვევდა სამეურნეო გეგმის შესრულებაში: დროებითი დებულებამ ეს არანორმალური მდგომარეობა ძირშივე აღკვეთა და დააკანონა, რომ ადგილობრივ ორგანოთა ბიუჯეტზე ახალი ხარჯების გადატანა შეიძლება მოხდეს მხოლოდ საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებებით, თვითეულ კერძო შემთხვევაში და უსათუოდ საბიუჯეტო პერიოდის დაწყებამდის. ასეთივე დადგენილებაა შემოსავლის წყაროების ჩამორთმევის შესახებ. სახელმწიფოს შეუძლიან ჩამოართვას ადგილობრივ ორგანოს შემოსავლის რაიმე წყარო მხოლოდ საბიუჯეტო პერიოდის დაწყებამდის და უსათუოდ საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით თვითეულ შემთხვევაში. მაშასადამე ამის შემდეგ ადგილობრივი ორგანოს სამუშაო გეგმის შესრულება შემთხვევებზე არ იქნება დამოკიდებული და საბიუჯეტო პერიოდამდე შემუშავებული გეგმა შესრულებულ უნდა იქნას ყოველივე შემთხვევაში.

მეორე ცვლილება, პრინციპიალური ხასიათისა, მდგომარეობს იმაში, რომ ეს დებულება ადგილობრივ ბიუჯეტიდან ითხოვს სახელმწიფო ბიუჯეტის უფრო მეტი ხარჯებიდან განტვირთვას, ვინემ ეს აქამდის იყო. მას ეკისრება ბევრი ისეთი დაწესებულებების შენახვა, რომელნიც ამ დებულების გამოცემამდის სახელმწიფო ბიუჯეტზედ იყვნენ. ეს ხარჯებია: 1) სამხედრო ყაზარმების დასაკმაყოფილებლათ ბინით, წყლით, განათებით და წვრილმანი შეკეთება, 2) ყველა ხარჯები მ. გ. მილიციის შესანახად, 3) სახალხო მოსამართლეთა და სახალხო გამომძიებელთა შენახვა, აგრეთვე შრომის კამერების და სახალხო სასამართლოთა სესიების შენახვა, 4) ყველა სამეურნეო ხარჯები ყოველგვარ ტიპის სკოლებისა, გარდა უმაღლესი სასწავლებლებისა, რომელნიც სახელმწიფო ბიუჯეტზედ რჩებიან; 5) შრომის ხელფასი პირველ საფეხურის სკოლების მასწავლებლებისა, 6) ყველა ხარჯები საბავშვო ბაღებისა 7) ყველა ხარჯები ფიზიკური აღზრდისა, 8) ყველა ხარჯები მუსიკალურ სასწავლებლებისა, გარდა უმაღლესებისა, 9) ყველა ხარჯები საინვალიდო სახლებისა და 10) ყველა ხარჯები შრომის ბირჟებისა. აღნიშნულ ხარჯების დასაფარავად, ეჭვს გარეშეა, ადგილობრივ ორგანოთ არ ეყოფათ ის შემოსავალი, რომელიც მათს განკარგულებაში იყო ამ კანონის გამოცემამდის. ამიტომ დროებითი დებულებით ადგილობრივ ორგანოებს გადაეცათ ახალი შემოსავალიც, გარდა იმ შემოსავლისა, რომელიც მათ ჰქონდათ, ამ კანონამდე არსებული კანონით. ეს წყაროები შემოსავლისა უმთავრესათ შეადგენენ სახელმწიფო გადასახადებიდან გადარიცხვანი და სახელმწიფო გადასახადების დამატებანი. მაშასადამე ამ აქტის პრინციპიალური მხარე იმ მოვლენაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფომ, რადგან ადგილობრივ ბიუჯეტზედ გადაიტანა მრავალი ხარჯები, რომელნიც აქამდე კმაყოფილდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტით, უარი სთქვა თავის შემოსავლის ნაწილზედ და სახელმწიფო გადასახადებიდან ფრიად საგრძნობ ნაწილს აძლევს ადგილობრივ ორგანოს გადარიცხვათა სახით.

მაგრამ ყველაზედ დიდი პრინციპიალური გადაწყვეტილება ადგილობრივ მეურნეობის და ადგილობრივ ფინანსების სისტემაში, დროებით დებულებით ეხება ადგილობრივ ბიუჯეტის დიფერენციაციას, დანაწილებას უფრო წვრილ ერთეულთა შორის.

ამ კანონის გამოცემამდის ადგილობრივი ბიუჯეტი სდგებოდა მაზრის ფარგლებში. ეს ბიუჯეტი შეიცავდა მაზრაში არსებულ ქალაქების, ყველა რაიონების და თვით მაზრის ცენტრალურ დაწესებულებათა სამეურნეო გეგმას. დროებით დებულებით კი ყველა ამ ერთეულმა—ქალაქმა, რაიონმა და მაზრამ უნდა შეადგინოს თავისი დამოუკიდებელი გეგმა—ბიუჯეტი, რომელშიც აღინიშნება შემოსავალი თვითეულ ამ ერთეულის ტერიტორიაზე არსებული წყაროებიდან და ხარჯები ამავე ტერიტორიაზედ მცხოვრებთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მხოლოდ სამაზრო ბიუჯეტი შეიცავს ისეთს ხარჯებს, რომელნიც გამოწვეული არიან მთელს მაზრის საჭიროებებით: სახელდობრ მაზრის მასშტაბით მომუშავე დაწესებულებანი, სამაზრო მნიშვნელობის საავადმყოფოები, გზები, ხიდები, წარმოებანი და სხვა. ადგილობრივ ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილების მნიშვნელობაზედ ჩვენ აქ არ შევჩერდებით. (ამის შესახებ იხ. ჩემი წერილები „რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტი“ „კომუნისტი“ №№ 111. 112 და 115) ჩვენ აღვნიშნეთ მხოლოდ მთავარი პრინციპიალური მნიშვნელობის საკითხები, დროებით დებულებით გადაწყვეტილნი, მაგრამ არის სხვა ცვლილებებიც ტეხნიკური და ფისკალური ხასიათისა, რომლებზედაც შევჩერდებით ქვევით, და რომელთა გათვალისწინება, ნათელყოფა საჭიროა ადგილობრივ მეურნეობის მესვეურთათვის.

⁂

წარსული პერიოდის საბიუჯეტო მუშაობის განხილვის დროს ჩვენ არ შეგვიძლია არ შევჩერდეთ იმ დეფექტებზე, რომელთა მოშორება მომავალში აუცილებლათ საჭიროა მუშაობის გასაჯანსაღებლად.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივი ორგანოები თავის ბიუჯეტებს ადგენენ მეტად დაგვიანებით და ხშირად საბიუჯეტო წლის დამლევს. ამიტომ ამ ბიუჯეტებს არა აქვთ კანონის მნიშვნელობა. ბიუჯეტს, ანუ სამეურნეო გეგმას მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ იგი შედგენილია თავის დროზედ, წლის თავშივე და წლის განმავლობაში იგი სრულდება. თუ ეს ბიუჯეტი—გეგმა სდგება წლის ბოლოში, მაშასადამე ადგილობრივი ორგანო არც ამ გეგმით მუშაობდა.

მართალია ბიუჯეტების გვიან შედგენაში ბრალი ედება ცენტრალურ დაწესებულებასაც, რომელმაც 1923 წელს, 2 აპრილის დეკრეტამდის მოითხოვა ადგილობრივ ორგანოებისაგან ბიუჯეტების შედგენა თვითეულ რესპუბლიკაში არსებულ კანონის მიხედვით. შემდეგ, 2 აპრილის კანონის გამოცემასთან ერთად, ადგილობრივ ორგანოებს წინადადება მიეცათ შეედგინათ ბიუჯეტები ამ კანონის მიხედვით, ამავე დროს ცენტრში დამუშავდა ინსტრუქცია და შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის ნომენკლატურა, რომელიც დამტკიცდა 28 ივლისს და ადგილობრივ ორგანოთ წინადადება მიეცათ ამ ინსტრუქციის და ნომენკლატურის მიხედვით შეედგინათ ბიუჯეტები. მაშასადამე 6-7 თვის განმავლობაში ადგილობრივ ორგანოთ რამდენიმე, სხვადასხვანაირი წინადადება მიეცათ ბიუჯეტის შესადგენათ, მაგრამ ადგილობრივ ორგანოთ მაინც ჰქონდათ დრო პირნათლად შეესრულებინათ თავისი მოვალეობა 1923 წლის მეორე ნახევრის ბიუჯეტის შედგენაში მაინც.

არსად ისე საჭირო არ არის საბიუჯეტო დისციპლინა, როგორც ადგილობრივ მეურნეობაში, მიუხედავად ამისა მაინც ადგილობრივი ორგანოები ამ დისციპლინას არ იცავენ.

ა. | კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის კონსტიტუციის ძირითადი მოთხოვნილება, რომლის ძალით, ადგილობრივ ორგანოთა განკარგულებაში გადაცემული კრედიტები შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ პირდაპირ დანიშნულებაზე აღრიცხვის პარაგრაფების და მუხლების მიხედვით და მათი მოხმარება სხვა რაიმე, აღრიცხვით გაუთვალისწინებელ საჭიროებაზე, დაუშვებელია, ადგილობრივ ორგანოთა მიერ არა სრულდება და ხშირად ერთი დანიშნულებისათვის გადადებული კრედიტი სრულიად სხვა საქმეს ხმარდება. ეს გარემოება საშინელს არევდარევას იწვევს გეგმაშეწონილ მუშაობაში და სწორხაზიანობაში. ამ შემთხვევაში ბიუჯეტი ფიქციათ ხდება და მის არსებობას ყოველგვარი აზრი ეკარგება.

ადგილობრივ ბიუჯეტის დასახასიათებლად ჩვენ შევჩერდებით მის ზოგიერთ ციფრებზედ.

მთელს ა. | კავკასიაში ადგილობრივი ორგანოთა ბიუჯეტი 1923 წ. მეორე ნახევარში აჯამულია დეფიციტით 985.583 ჩერვ. მან., საქართველოს და ავტონომიურ რესპუბლიკების ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი უდრის 508.395 მან., სომხეთის 241.562 მ. და ადერბეიჯანის 236.626 მ.

---

*) დასაწყისი. იხ. „კომუნისტი“ № 128.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, ივნისის 10, საღამოს 6 საათზე ცენტრალური პარტიული კლუბის შენობაში (კირკის ქ. № 7) შესდგება

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმის სხდომა

ავალდებულოა თბილისის კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

თბილისის კომიტეტის მდივანი: **მ. კახიანი.**

„ჩირაღდანი“ ადგილობრივ ხელისმომწერთათვის

ვინ მთხოვთ ფოთის, ბათუმის, ახალსენაკის, სამტრედიის, ქუთაისის, ზესტაფონის, შორაპნის, ჭიათურის, ხაშურის, ოზურგეთის და ჩოხატაურის აგენტებს,

ათა დაუყოვნებლივ გამოგზავნონ გაზ. „კომუნისტი“-ს კანტორაში მ ხელისმომწერთა სია, რომლებსაც მათთან აქვთ დაკვეთილი „კომუნისტი“ ივნისში.

ია უნდა იქნეს დადასტურებული (როგორც მაისში) ადგილობრივი პარტკომებისაგან.

ის მიღების შემდეგ „ჩირაღდანი“ გაეგზავნება ამ თვიდან იმათ, რომლებმაც „კომუნისტი“ გამოიწერეს ზემოხსენებული აგენტების საშუალებით.

მასთან ერთად ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ ვაცხადებთ, რომ „კომუნისტი“-ს ეს უფასო დამატება გაეგზავნება მხოლოთ ხელისმომწერთ და არა იმათ, ვინც გაზეთს ყიდულობს აგენტებისაგან თუ გინდ ყოველ დღეც.

„კომუნისტი“-ს კანტორა.

ურთიერთობა შორეულ აღმოსავლეთთან

ცდილობენ ხელი შეუშალონ.

პეკინი. 8 ივნისი. დიპლომატიური კორპუსის ზოგიერთი წევრები ცდილობენ შექმნან დაბრკოლება საბჭოთა კავშირისათვის ყოფილი საელჩოს შენობის გადაცემის საქმეში. დიპლომატიური კორპუსის უფროსი წევრი—ჰოლანდიის ელჩი ოუდენდეიკი მიმართავს უკანონო საშუალებს: ის ეძებს საბაბს, რომ გააჭიანუროს საქმე. ინგლისის, იტალიის და იაპონიის ელჩების პოზიცია ჯერ გამოურკვეველია.

მარშალების მილოცვა.

პეკინი. საბჭოთა კავშირის და ჩინეთის შეთანხმების შესახებ პარლამენტში სიტყვები წარმოსთქვეს პრემიერ მინისტრმა სუნ-პაო-ჩიმ და გარეშე საქმეთა მინისტრმა ველინგტონ-კუმ. **მთავრობის განმარტება მიღებული იქნა ერთხმად.**

მარშალებმა უ-პეი-ფუმ და ჩი-სეი-უანმა დეპეშით მიულოცეს მთავრობას შეთანხმებაზე ხელის მოწერა.

საბჭოთა დიპლომატიის გამარჯვება.

ვარშავა. 7 ივნისი. „კურიერ პოლსკი“ არჩევს საბჭოთა კავშირის და ჩინეთის ხელშეკრულებას და აღნიშნავს, რომ **უკანასკნელი წარმოადგენს საბჭოთა დიპლომატიის გამარჯვებას** და აქცევს ჩინეთს საბჭოთა ინტერესების ფარგლებში.

იმპერიალისტები შეშფოთდნენ.

ტოკიო. 7 ივნისი. **საბჭოთა კავშირის და ჩინეთის შეთანხმებამ შეაშფოთა მთელი იმპერიალისტური მსოფლიო.** იაპონიის გაზეთი „ნიცი ნიჩი სიმბუნ“-ი სწერს იმის გამო, რომ **საბჭოთა რუსეთმა გააუქმა მეფის დროის ყველა ხელშეკრულებანი ჩინეთთან.** გაზეთი ამტკიცებს, რომ ადრე თუ გვიან ჩინეთი გამოვა დაინტერესებულ სახელმწიფოების კონტროლისაგან და აუცილებელი გახდება დიპლომატიური პრინციპების შეცვლა ჩინეთის მიმართ.

რეალურ ნიადაგზე.

ტოკიო, 7 ივნისი. იაპონიის ოფიციალურ წრეების ცნობით, იაპონიის გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ჩავიდა პეკინში, სადაც მოლაპარაკებას დაიწყებს იაპონიის მიერ ჩრდილოეთ-სახალინის ევაკუაციის შესახებ.

წითელ რესპუბლიკებში

ყირიმში.

მაისის მეორე ნახევარში პურეულის მდგომარეობა ძალიან გაუარესდა. ლვამ ხანგრძლივი ხასიათი მიიღო; დებში გაჩნდენ მავნეები.

საჰაერო რეისები.

ხარკოვი, 7 ივნისი. მახლობელ დღეებში განზრახულია მუდმივ სამგზავრო საჰაერო მიმოსვლის დაწყება ხარკოვსა და ყირიმის ნავთსადგურებს შორის.

სანატორიუმი ჭლექიან ბავშვებისათვის.

ოდესა. 9 ივნისი. ლიუსტდორფის საბავშვო კურორტზე ეწყობა დიდი სანატორიუმი ჭლექიან ბავშვებისათვის, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებები.

მეცნიერთა აკადემიის 200 წლის იუბილე.

მოსკოვი. 9 ივლისი. რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა სამეცნიერო აკადემიას მისცეს 70.000 მანეთი იმ ხარჯების დასაფარავათ, რომელიც დაკავშირებულია აკადემიის 200 წლის იუბილეს გამართვასთან.

ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა

საუბარი ამხ. რიკოვთან

მოსკოვი, 9 ივნისი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. რიკოვმა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ განაცხადა შემდეგი: „საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში უკანასკნელი დროის განმავლობაში უნდა აღინიშნოს ორი დიდი პოლიტიკური ფაქტი: საფრანგეთის არჩევნების შედეგები და ჩინეთთან დადებულ შეთანხმებაზე ხელის მოწერა.

ჩვენი აქტიური მტერი.

საფრანგეთი უკანასკნელი დროის განმავლობაში, დაწყებული ოქტომბრის რევოლიუციიდან, სათავეში ედგა სამ სახელმწიფოს. რომელნიც ყოველის საშუალებით სცდილობდენ მოესპოთ ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების შედეგები. **ინტერვენციის ყველა შემთხვევებში აშკარათ სჩანდა საფრანგეთის მთავრობის აგენტების მონაწილეობა. საფრანგეთი ყველა ზომებს იღებდა იმისათვის, რომ ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებია ჩვენი მოსაზღვრე სახელმწიფოები და დიდის სიამოვნებით ეხმარებოდა ამ ქვეყნებს სამხედრო კრედიტებით და იარაღით. არა მარტო საბჭოთა კავშირის მიმართ, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც მემარჯვენე ბლოკის მთავრობა იყო მილიტარიზმის ერთ-ერთი მთავარი პროპაგანდისტი და ორგანიზატორი და ის თავის მუშაობით ამზადებდა ახალ ომს.**

გენუის და ჰააგის კონფერენციებზე მემარჯვენე ბლოკის მთავრობა ყველა ზომებს იღებდა იმისათვის, რომ ეს კონფერენციები უშედეგოთ დამთავრებულიყო. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ეს მთავრობაც იძულებული იყო შეეცვალა თავისი პოლიტიკა ჩვენს მიმართ.

გადახრა ჩვენს სასარგებლოდ.

ინტერვენციის დამარცხებამ, საბჭოთა სახელმწიფოების კავშირის სიმტკიცემ, ჩვენი ქვეყნის მეურნეობის აღდგენამ და საგარეო ვაჭრობის ზრდამ აიძულეს მემარჯვენე ბლოკის მთავრობა შეეცვალა თავისი პოლიტიკა ჩვენს მიმართ. იმედი მაქვს, სახელმწიფოს სათავეში ახალი მთავრობის ჩადგომის შემდეგ, ჩვენი ურთიერთობა ჩქარა მოგვარდება. საფრანგეთის უკანასკნელმა არჩევნებმა დაგვანახვეს, რომ საფრანგეთის ხალხს მობეზრდა მუდამ დაძაბულ მდგომარეობაში ყოფნა და ომის მოლოდინი; მნიშვნელოვანი უმრავლესობით მან მოითხოვა უფრო მშვიდობიანი და კულტურული პოლიტიკა. საფრანგეთის ახალი მთავრობა ჯერ კიდევ არ შემდგარა, ჯერ-ჯერობით არა გვაქვს საბუთები ვიფიქროთ, მთლიანათ იქნება თუ არა გატარებული ცხოვრებაში საფრანგეთის ახალი კაბინეტის მიერ ყველა ის დაპირებები, რომლებსაც იძლეოდენ მემარცხენე ბლოკის წარმომადგენლები თავის გამარჯვებამდი არჩევნებში, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ახალი კაბინეტი ვერ დაადგება ძველი პოლიტიკის გზას და მე იმედი მაქვს, რომ ჩვენთან დამოკიდებულების საკითხში მოხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები.

ჩვენ განვაახლებთ სავაჭრო ურთიერთობას საფრანგეთთან.

იმის გამო, რომ ძველი კაბინეტი ჩვენ მტრულად გვიყურებდა, ჩვენ იძულებული ვიყავით გაგვეუქმებინა უკვე დაწყებული ეკონომიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთს შორის. ამჟამად ჩვენი მთავრობის მიერ გაცემულია დირექტივები იმის შესახებ, რომ **ჩვენმა სამეურნეო ორგანოებმა უარი არ სთქვან საფრანგეთთან წინასწარ მოლაპარაკების დაწყებაზე ეკონომიურ საკითხების შესახებ;** მოლაპარაკების დაწყება შეიძლება ჩვენი ურთიერთობის საბოლოო ჩამოყალიბებამდეც.

შეთანხმება ჩინეთთან.

მეორე ფაქტი, რომელსაც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს—ეს არის შეთანხმების დადება ჩინეთთან.

ჩვენი მოლაპარაკება ჩინეთთან სწარმოებდა ისეთ პირობებში, როდესაც ჩინეთის მმართველ წრეებს ძალას ატანდენ ის სახელმწიფოები, რომლებიც ჩინეთს უყურებენ, როგორც საერთაშორისო კაპიტალის კოლონიას. ხელშეკრულება, რომელიც წინასწარ მიღებული იყო ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლების მიერ, თავის დროზე არ ყოფილა ხელმოწერილი იმის გამო, რომ ამერიკა და საფრანგეთი ძალდატანებას ახდენდენ ჩინეთის მთავრობაზე. საჭირო იყო ჩინეთის ხალხის უდიდესი აღშფოთება, რომ ჩინეთთან დადებული ხელშეკრულება ხელმოწერილი ყოფილიყო.

სრული თანასწორობის საფუძველზე.

ეს ხელშეკრულება ყველა იმ ხელშეკრულებებისაგან, რომელიც კი დაუდევს ჩინეთს უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში კაპიტალისტურ ქვეყნებთან და მეფის რუსეთთან განსხვავდება იმით, რომ მისი შედგენის დროს ჩვენ გამოვდიოდით ორივე ქვეყნის სრული თანასწორობის პრინციპიდან; ჩვენ უარი ვსთქვით აღმოსავლეთისათვის შეურაცხმყოფელ ყოველგვარ პრივილეგიებზე და უპირატესობაზე, რომლებიც ხელში ჩაიგდეს ჩინეთში ევროპიელებმა და ამერიკელებმა. ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ აღმოსავლეთი ჩქარის ტემპით მიდის თავის დამოუკიდებლობისა, ეროვნულ განთავისუფლებისა და თავის ხალხთა თვითგამორკვევისაკენ. ჩვენ არა თუ ხელს არ შეუშლით ამ დიად ისტორიულ მოძრაობას, არამედ ყველა ჩვენი სიმპატიები აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხთა მხარეზე იქნება.

საბჭოთა კავშირი — აქტიური ძალაა შორეულ აღმოსავლეთში.

ჩინეთთან ხელშეკრულების დადება საბჭოთა კავშირს ხდის აქტიურ ძალათ შორეულ-აღმოსავლეთის პოლიტიკაში, ძალათ, რომელიც სარგებლობს დაჩაგრულ მასების დახმარებით. **ჩინეთის მთავრობამ ხელშეკრულება დასდო ჩვენთან, მიუხედავათ ძლიერ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების წინააღმდეგობისა. ჩვენ ეხლა მოლაპარაკებას ვაწარმოებთ იაპონიასთან.**

ახლო მომავალში ჩვენ დავინახავთ, გამოიჩენს თუ არა იაპონია ისეთივე დამოუკიდებლობას უცხო ძალების გავლენისაგან, როგორც ეს გამოიჩინა ჩინეთმა, თუ დასავლეთ-ევროპის ბურჟუაზიულ მთავრობების გავლენა ტოკიოზე უფრო ძლიერი აღმოჩნდება, ვიდრე ეს პეკინში იყო. ჩინეთთან პოლიტიკური ხელშეკრულების დადებით მხოლოდ პირველი ნაბიჯია გადადგმული ჩინეთის ხალხის და საბჭოთა კავშირის ერების თანამშრომლობის გზაზე. პოლიტიკურ ხელშეკრულებას უნდა მოყვეს სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც აგრეთვე სრული თანასწორობის პრინციპზე უნდა იქნეს აგებული, და ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობათა გაცხოველება ორივე ქვეყნებს შორის.

საინტერესოა გარჩევა შემოსავლის. ადგილობრივ ორგანოთა შემოსავლის წყაროებს შეადგენენ გადასახადები და არაგადასახადის ხასიათის შემოსავალი. გადასახადები შეიცავენ, ადგილობრივ გადასახადთა გარდა, სახელმწიფო გადასახადებიდან გადარიცხვებს და დამატებებს. ადგილობრივ ორგანოთა ბიუჯეტები გვიჩვენებენ, რომ თითქმის ყველგან გადასახადებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ შემოსავლის საერთო ჯამში. მაგალითად საქართველოში გადასახადები უდრის საერთო შემოსავლის 33 პროც., ადერბეიჯანში 54 პროც., სომხეთში 45 პროც. არაგადასახადის ხასიათის შემოსავალი—საქართველოში 67 პროც., ადერბეიჯანში 46 პროც., სომხეთში 55 პროც.

ბიუჯეტის გასავლის ნაწილში ვამჩნევთ, რომ ერთი და იგივე მოთხოვნილება სხვადასხვა რესპუბლიკაში დაკმაყოფილდება სხვადასხვა ზომით. მაგალითად საქართველოში პირველი ადგილი ხარჯებში უჭირავს წარმოებაზე გაწეულს ხარჯებს, რომელიც შეადგენს მთელი ხარჯების 32,2 პროც.) ამავე საჭიროებაზე სომხეთში იხარჯება 19,69 პროც., ადერბეიჯანში კი 4,3 პროცენტი.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ადგილობრივ ბიუჯეტში არ შედის თბილისი და ადერბეიჯანისაში ბაქო, (სამწუხაროდ ამ ორი უდიდესი ცენტრის 1923 წლის მეორე ნახევრის ბიუჯეტი არა გვაქვს). შემდეგი დიდი ხარჯი, რომელსაც ეწევა ადგილობრივი ორგანო საქართველოში არის—ჯანმრთელობაზე გაწეული ხარჯები. ამ საქმეში საქართველოს ადგილობრივი ორგანონი ეხარჯებიან 12,42 პროც., ადერბეიჯანში 15,1 პროც., სომხეთში 12,85. ჯანმრთელობის ხარჯებს მისდევს განათლების ხარჯები საქართველოში 10,30 პრ., ადერბეიჯანში 19 პროც., სომხეთში 13,15 პროც., კეთილმოწყობაზე საქართველო ხარჯავს 7,3 [illegible] ადერბეიჯანი 3.5 პროც., სომხეთი 7,88 პროც. სრულიად უმნიშვნელო პროცენტი გასავლისა ხმარდება მიწათმოქმედებას და სასოფლო მეურნეობას. ა.-კავკასია, ზოგიერთ სამრეწველო ცენტრების გამოკლებით, სოფლის მეურნეობის ქვეყანა არის. მისი ეკონომიური და ფინანსიური აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ სოფლის მეურნეობის გაძლიერებით და გამაგრებით.

მთავარი მამოძრავებელი ეკონომიური ძალა, აღორძინების მთავარი ფაქტორი ამიერ-კავკასიაში, არის გლეხკაცობა, რომელთანაც ყველაზე მეტი ურთიერთობა აქვს ადგილობრივ მეურნეობის მესვეურთ თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში და რომლის სამეურნეო ცხოვრებამ შესაფერი გამოხატულება უნდა ჰპოვოს ადგილობრივ ბიუჯეტში. ამიტომ არც ერთი დარგი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა არ ითხოვს იმდენს ყურადღებას ადგილობრივ მუშაკებისაგან, როგორც სოფლის მეურნეობა; მიუხედავად ამისა, ამ საჭიროებაზედ საქართველოში იხარჯება ყველა საშუალებების 0,5 პროცენტი, ადერბიჯანში 1,3 პროც., სომხეთში კი 3 პროც.

საერთო ადმინისტრატიულ დაწესებულებათა შენახვაზედ საქართველო ხარჯავს 7,13 პრ., ადერბეიჯანი 12.92 პრ., სომხეთი 8,71 პრ.

ეს ცნობები არ გვაძლევენ ადგილობრივი მეურნეობის ნამდვილ სურათს. უფრო რეალურ სურათს მივიღებდით, რომ გვქონდეს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები. მაშინ შეგვეძლო გვეთქვა რამდენათ სწორი იყო ადგილობრივ ორგანოთა ვარაუდი, რამდენათ რეალური იყო მათი ბიუჯეტი, როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილებში.

ვისურვოთ, რომ მომავალში ეს ნაკლი აცილებული იქნეს.

წინააღმდეგ შემთხვევაში თვით ბიუჯეტი ყოველივე აზრს კარგავს.

ვ. ხ—ლი

პარტიული ცხოვრება

რას უნდა მივაქციოთ ყურადღება სოფლად პარტიული სკოლის კურსანტებმა

როდესაც დავამთავრებთ სწავლას, პარტ. სკოლის კურსანტები გავიგზავნებით პროვინციებში სამუშაოდ. იქ ჩვენს მოვალეობას შეადგენს: ვაწარმოოთ სოფლად ფართო პროპაგანდა ლენინიზმის შესახებ, გავავრცელოთ ლენინის აზრი ქვეყნის კეთილ დღეობაზე, სახალხო განათლებაზე, სასოფლო მეურნეობაზე, გლეხობაზე და კოოპერაციაზედ. სოფლათგაგზავნილმა კურსანტებმა უნდა გამოვიჩინოთ გაორკეცებული აქტიობა, უნდა შევუწყოთ ხელი სასოფლო აღმშენებლობას, მის კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებას, ქოხ-სამკითხველოებს, სასწავლებლებს და კლუბებს, სადაც დაიდგმება რევოლიუციონური და ანტი-რელიგიოზური პიესები. აგრეთვე დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ სოფლად კოოპერატივების გაძლიერებას. ჩვენ მოვალეობას არ შეადგენს მხოლოდ სიტყვიერი მოხსენება სოფლის გლეხობაში, არამედ ჩვენი ნათქვამი უნდა იყვეს განხორციელებული საქმით. გლეხობისათვის არ უნდა დავიშუროთ ჩვენი სწავლა, რომელიც შევიძინეთ პარტ. სკოლაში, რაც კი შეგვიძლია, უნდა შევაგნებინოთ სოფლის გლეხ-კაცობას, თუ როგორი და რა საშუალებით გააუმჯობესონ სოფლის მეურნეობა, რომ ამითი ბოლო მოუღონ წვალებას და დღე-ღამ მუშაობას, რომელიც ძალზე აუძლურებს გლეხობას. დიდად საჭიროა, რაც შეიძლება მეტი ყურადღება მივაქციოთ სოფლათ კოლექტიურ მუშაობას, შევაყენოთ სოფლად უფრო განვითარებულ ელემენტებისაგან ჯგუფები, რომელნიც გაერთიანებული ძალით იმუშავებენ. ამით გლეხკაცობას დავანახვებთ მაგალითს. შემდეგ იმედია, ისიც შეიგნებს თანდათანობით კოლექტიური მუშაობის უპირატესობას და წაგვებაძავს ჩვენ. ჩვენ თუ შევასრულებთ ყოველივე ამას, მაშინ თამამად შეგვეძლება ვთქვათ, რომ ლენინს დაუდგით სამუდამო ძეგლი და გავატარეთ ცხოვრებაში მის მიერ აღებული გზა. გაუმარჯოს მუშების და გლეხების შეურყეველ კავშირს.

პარტ. სკ. კურსანტი **გ. კუხალაშვილი.**

ქართულ მუშფაკის ცხოვრებიდან

(ლენინიზმის შემსწავლი წრე)

ა. წ. აპრილის პირველ რიცხვიდან ქარ. მუშფაკის მსმენელებმა, რიცხვით 45 კაცმა, დავიწყეთ მეცადინეობა ლენინიზმის შემსწავლელ წრეში, როგორც პარტიულმა, ისე უპარტიო ამხანაგებმა ერთად. მეცადინეობა მიმდინარეობდა სისტემატიურად. ყოველ ოთხშაბათს და შაბათს, დღეში ორი საათი, დილის ათი საათიდან თორმეტამდე. შევისწავლეთ მოკლეთ ლენინიზმი და მისი წარსული ისტორია. რაიკომის მიერ შედგენილი იქნა სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე, რაც ამხანაგებს სათითაოთ დაურიგდათ. წრის მეცადინეობა გაგრძელდა დაახლოვებით ორი თვე. მაისის უკანასკნელ რიცხვებში ჩვენმა ხელმძღვანელმა-ლექტორმა მოახდინა გამოცდები იმის გასაგებად, თუ რამდენათ შეითვისეს ჩვენმა ამხანაგებმა განვლილი გაკვეთილები. უმეტესმა ნაწილმა გამოცდა მშვენივრად ჩააბარა. აგრეთვე შევავსეთ ანკეტები და გადავეცით ჩვენს ლექტორს. ზოგი ჩვენი ამხანაგი გაიგზავნა პოლიტ სკოლაში, ზოგი რაიონის სკოლაში და ზოგი მარქსისტულ წრეში, მომავალ წლისათვის მეცადინეობის გასაგრძელებლათ. საჭიროა ყველა ამხანაგ მუშას, როგორც პარტიულს, ისე უპარტიოს კარგათ ჰქონდეს შესწავლილი და შესისხლხორცებული ლენინიზმი და მისი წარსული ისტორია.

მუშური სალამი ჩვენი წრის ლექტორს, ძველ რევოლიუციონერს ამხ. იობიძეს, რომელმაც არ დაზოგა თავისი ენერგია, რომ ჩვენთვის მიეწოდებია ელემენტარული ცოდნა ლენინიზმისა, რაც კიდეც შესძლო და შესრულა პირნათლად.

ილ. გველაძე.

ხაშურის დეპოს კომუჯრედი № 3

30 მაისს ა. წ. შესდგა № 1 უჯრედის კრება. თავმჯდომარეობდა ამხ. ალ. ნოზაძე. მდივნობდა ამხ. ი. ლომიძე. დღის წესრიგი: 1) მოხსენება ახ. კ. კ. მნიშვნელობაზე, 2) პოლიტ-მეცადინეობა, 3) მიმდინარე კითხვები. პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა კომკავშირის წარმომადგენელმა, ამხ. წოწონელიძემ, რომელმაც მშვენივრად დაახასიათა მისი როლი და მნიშვნელობა. გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება კომკავშირის მნიშვნელობაზე, დეპოს პირველი კომუჯრედი არის ღრმად დარწმუნებული, რომ ახ. კ. კ. ორგანიზაცია, რომელიც ადგია ლენინიზმის გზას, შესძლებს კომპარტიის მიერ აღებულ გზის საბოლოვო გამარჯვებამდე მიყვანას.

პოლიტ-მეცადინეობა სწარმოებს მდაბიო, გასაგები ენით ახალ მიღებულ კანდიდატების მოსამზადებლად, რამაც საუცხოვო შედეგი მოგვცა.

მიმდინარე კითხვაში გაირჩა რამდენიმე საჭირბოროტო საკითხი.

ლარი.

საქართველოს გლეხკომების პირველი თათბირი

თათბირის გახსნა

7 ივნისს, დილის 11 საათზე, ზუბალაშვილის სახელობის სახლში გაიხსნა საქართველოს გლეხკომების პირველი თათბირი. თათბირს დაესწრო 14 დელეგატი სხვადასხვა მაზრებიდან. არ გამოცხადდენ ლეჩხუმის და სვანეთის წარმომადგენლები. თათბირი მისასალმებელი სიტყვით გახსნა სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარმა ამხ. კ. ხომერიკმა.

პრეზიდიუმის არჩევა.

ამხ. ხომერიკის სიტყვის შემდეგ თათბირი ირჩევს პრეზიდიუმს, რომელშიაც შედიან ამხ. ი. ხარაბაძე (ქუთაისის მაზრიდან), ამხ. სურღულაძე (ოზურგეთის მაზრიდან) და ამხ. კ. ხომერიკი. მდივნათ არჩეულ იქნა ამხ. ივანე მუსელიანი.

დღის წესრიგი.

თათბირმა მიიღო შემდეგი დღის წესრიგი:

1. მოხსენებანი ადგილებიდან; 2. მოხსენება გლეხკომების შესახებ; 3. საორგანიზაციო კითხვები; 4. გლეხკომები და კოოპერაცია; 5. სოფლად ლიტერატურის (ჟურნალ-გაზეთების და წიგნების) გავრცელების შესახებ; 6. გლეხკომები და გლეხთა მომგებიანი სესხი; 7. გლეხკომების დროებითი გაერთიანებული (ცენტრალური) გამგეობის არჩევნები; 8. მიმდინარე საკითხები.

საპატიო თავმჯდომარეებათ ყრილობამ აირჩია:

ამხ. **ტროცკი, ზინოვიევი, რიკოვი, ორჯონიკიძე, მახარაძე, კრუპსკაია, ცხაკაია, კალინინი და სტალინი.**

მისალმებანი.

მოსმენილ იქნა წერილობითი მისალმებანი—საქართველოს ფრენოსნობის მეგობართა საზოგადოებისა და ზუბალაშვილის სახელობის დავრდომილთა სახლში მცხოვრებ შრომის ინვალიდებისაგან, რის შემდეგ კრება იწყებს მოხსენებათა მოსმენას.

მოხსენებები ადგილებიდან

გლეხთა კომიტეტები ოზურგეთის მაზრაში.

(მომხსენებელი ამხ. სურღულაძე)

გლეხკომების მოწყობა დასრულდა მაზრაში წარსული წლის 5 აგვისტოს. დაარსებულია მხოლოდ სათემო და სარაიონო გლეხთა კომიტეტები. სასოფლო კომიტეტების მოწყობაზე, სხვადასხვა მიზეზების გამო, უარი ვსთქვით. თვითდაბეგვრა 41 თემიდან ჩავატარეთ მხოლოდ 20 თემში. თათრების შემოსევამ, ხშირმა წყალდიდობამ და სხვა ბუნებრივმა უბედურებამ, ოზურგეთის მაზრა დიდათ დააზარალა—სწორედ ამიტომ ვერ მოხერხდა თვითდაბეგვრის კამპანიის სასურველად ჩატარება. სამაგიეროდ დიდი ყურადღება მივაქციეთ საწარმოო დაწესებულებათა მოწყობას. ამჟამად გვაქვს ტყავეულობის ქარხანა, რომელიც დღეში ამზადებს 20 ფუთამდე ტყავს, გახსნილია ოზურგეთში წუღების სახელოსნო. დღეში კეთდება 150-ამდე წუღა. ვყიდით შედარებით იაფ ფასებში გაცილებით იაფათ, ვიდრე კოოპერატივი. შავი-ზღვის პირას გვაქვს 150 დესიატინა მიწა. 40 ქცევა ამ მიწიდან დამუშავებული გვაქვს. 1 ქცევაზე დათესილია ბამბა, პამიდორი, კომბოსტო და სხვა. იქვე შევუდექით ღორების მოშენების საქმეს. ამ ჟამად 30-ამდე ღორი მოგვეპოება. დავამზადეთ შეშა 100 საჟენამდე და ნახშირი 200 ფუთამდე. გვყავს ხარები. ძროხა, ჯორი. ჩვენს განკარგულებაშია აგრეთვე სახლები, ნალიები და სხვა. ოზურგეთის მაზრაში გახსნილია გლეხკომების თაოსნობით 8 სავაჭრო დუქანი. ამ დუქნების საშუალებით სოფლის მოსახლეობას ეძლევა ხელ-მისაწვდენ ფასებში ფართალი და სხვა, როცა კერძო ვაჭარი ყიდდა—3 აბაზად, ჩვენთან ივი ღირდა 6 შაური. ტრესტების მიერ დაწესებულ ფასებს უმატებდით მხოლოდ 25 პროც.-ს კოოპერატივებთან შედარებითაც ჩვენი ფართალი იაფი იყო 10—15 პროცენტით. ამ გარემოებამ დიდი ნდობა მოუპოვა გლეხკომებს ხალხის თვალში.

ჩარჩები გრადუს არაყს იძენდენ გლეხებისგან 4 კაპეიკად. აქ გლეხიც იტყავებოდა და სახელმწიფოც. კოოპერაცია აძლევდა 7 კაპ. გრადუს არაყში. ჩვენ მივეცით 9 კაპეიკი. ამნაირათ შევიძინეთ გლეხებისაგან 100.000 ვედრო არაყი. გლეხობა აღფრთოვანებით ხვდება ჩვენს მუშაობას.

აღრიცხვაზე გვყავს აყვანილი 615 გაჭირვებული, ომის და შრომის ინვალიდი. 175 ინვალიდს ვაძლევთ ყოველთვიურ პენსიას. პენსიონერებზე გაცემულია 686 მან. 1 ივნისამდე. ერთდროული დახმარების სახით გავეცით 770 მანეთი, წამლობაზე—774 მან., საბავშვო სახლზე—58 მან. ეს ხარჯები გაწეულია მხოლოდ სამაზრო გლეხკომების მიერ. რაც შეეხება სათემო გლეხკომებს, მათ შემდეგი საშუალებები მოეპოვებათ:

ფულათ—2784 მან. 80 კაპ., სიმინდი—2661 ფუთი 20 გ., ღვინო—11 ფუთი, თხილი—16, სასადილო—3, სავაჭრო—8. სახლები—2, ძროხა—2 ნახ., ხარი—2 ერთი მეოთხედი, 1 ორი მესამედი ქცევა ბაღი, ვენახი 42 ნახევარი ქცევა, ტყე 63 დესეტინა, წისქვილი 2. სამჭედლო 1.

გაცემულია მათ მიერ დახმარების სახით: ფულათ 1.603 მან. 65 კაპ., 393 პირზე. სიმინდი—767 ფ. 13 გ. 339 პირზე შესაგროვებელია ფულათ—1.820 მან., სიმინდით—2.460 ფ.

ამით არ ამოიწურება ოზურგეთის გლეხკომების მუშაობა; ისინი დიდ ღვაწლს იჩენენ ჩვენი დანგრეული მეურნეობის აყვავების საქმეში; აკეთებენ გზებს, ხიდებს, აწყობენ სამკითხველოებს, და სკოლებს.

ჩვენი მთავარი ყურადღება ამ ჟამად მიქცეულია იმ 150 დესიატინა მიწის დამუშავებისაკენ, რომლის შესახებ ზემოდ ვლაპარაკობდით. ამისათვის გვესაჭიროება გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღები. კავებით ფონს ვერ გავალთ. მთავრობამ უნდა მოგვცეს გრძელ ვადიანი სესხი საჭირო სამეურნეო იარაღების შესაძენათ.

დასასრულ მომხსენებელი ეხება კოოპერაციის და გლეხკომების დამოკიდებულებას და ამბობს: სანამ კოოპერაცია სარგებლობს მოსახლეობის მცირე ნაწილის ნდობით, სანამ იგი არ დაიპყრობს უმრავლესობას, გლეხკომებმა სავაჭრო კოოპერაციებიც უნდა აწარმოონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს ადგილს დაიჭერს კერძო ვაჭარი. მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები, რაზედაც მან სათანადო პასუხი გასცა.

(გაგრძელება იქნება)

ჩვენი ვაჭრობა უცხოეთთან

ჩვენი პური ინგლისში.

მოსკოვი. 8 ივნისი. „ექსპორტხლებ“-ის საკავშირო თათბირზე, რომელიც გაიხსნა 6 ივნისს, ინგლისში არსებული ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობის პურის განყოფილების გამგემ აღნიშნა, რომ პირველ ხანებში „ექსპორტხლებ“-ის მუშაობისათვის ინგლისში არ იყო ხელსაყრელი პირობები, ვინაიდან 9 წლის განმავლობაში ინგლისის ბაზარი გადაეჩვია რუსეთის პურს. ინგლისისათვის პურის მთავარ მიმწოდებლებად გამოდიოდნენ შეერთებული შტატები, კანადა, არგენტინა და ავსტრალია.

უკანასკნელ დრომდე საბჭოთა კავშირი იყო მეხუთე ხარისხოვანი მიმწოდებელი; უკანასკნელი სეზონის 7 თვის განმავლობაში ჩვენს მიერ ინგლისში შეტანილი იქნება ინგლისში შესაზიდი ხორბლის ნახევარი პროცენტი.

მარტიდან ინგლისის ბაზრის დამოკიდებულება საბჭოთა პურისადმი საგრძნობლად შეიცვალა: ინგლისელები ხედავენ, რომ ამ ჟამად რუსეთის პურის მონოპოლიური ექსპორტი ვაცილებით უკეთესად არის დაყენებული, ვიდრე მაშინ იყო, როდესაც ის იყო კერძო პირების ხელში. **ჩვენს პურს საკმაოდ დიდი მოთხოვნილება აქვს ინგლისის ბაზარზე.**

ჩვენი პური ახლო აღმოსავლეთში.

ახლო-აღმოსავლეთის წარმომადგენელმა ამხ. ანიკეევმა განაცხადა, რომ ჩვენი ექსპორტის დაწყებამდე ამერიკას შემოჰქონდა ახლო-აღმოსავლეთში მთელი შესაზიდი პურის 100 პროცენტი, ხოლო ექსპორტის განახლების შემდეგ **ჩვენ მიმდინარე წლის იანვარში შევიტანეთ ოსმალეთში მთელი შესაზიდი პურის 70 პროც., იმ დროს, როდესაც ამერიკას არც ერთი გირვანქა პური არ შეუტანია ოსმალეთში.**

ამხ. ანიკეევმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია გავანაღდოთ ოსმალეთის ბაზარზე ხორბლის საერთო შეზიდვის 90 პროცენტი და თითქმის ნახევარი—საბერძნეთში შესაზიდი პურის პროდუქტებისა.

რუსეთის ჩაი იტალიაში.

ლენინგრადი. 5 ივნისი. [illegible] სავაჭრო პალატამ მიიღო იტალიის მთელ რიგ ფირმებისაგან წინადადებები, რათა პალატამ მიჰყიდოს იტალიას რუსეთის ჩაის დიდი პარტია.

პატარა ფელეტონი

კრილოვის „ხვადი“

„А Васька слушает даест“.
Крылов.

ერრიო უარს ამბობს კაბინეტის შედგენაზე, სანამ მილლიერანი პრეზიდენტობიდან არ გადამდგარა.
(დეპეშებიდან).

ვისაც აქვს ჭამის მადა,
ვის მოსწყენია ქადა,
ქადა მსუყე და ტკბილი?!.
ოღონდაც ბასრი კბილი
მრავლად მეყენოს ყბაში,
თორემ სხვას დავსდევ რაში?
ყვედრებას, ტუქსვას, რცხვენას
ავატანინებ სმენას,
როგორც კრილოვის „ხვადი“,
რომ დაითრია მწვადი,
ახალი ქათმის სახით!
„ყბედ მზარეულზე“ ახი
იყო და არის მარად,
როცა უთვლიან არად
სიტყვების „მსუბუქ მეხებს“
და შემწვარ ქათმის ფეხებს
ახრამუნებენ ჩუმად,
შემწვარს, არა თუ უმად!..

ონისიმე.

წითელ ჯარში

საქართველოს სამხედრო კომისარიატის განცხადება

ვინაიდან ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა შემოსვლა საქართველოს სამხედრო კომისარიატში სხვადასხვა დაწესებულებებიდან და თანამდებობის პირებიდან შუამდგომლობისა 1902 წელში დაბადებულ მოქალაქეთა ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლების შესახებ **სამსახურის და თანამდებობის მიხედვით,**—სამხედრო კომისარიატი განმარტავს, რომ არსებული კანონდებულებებით მოქალაქენი, დაბად. 1902 წელში, როგორც მორიგე გაწვევის ვალდებულნი, არაფერ შემთხვევაში არ თავისუფლდებიან გაწვევისაგან რა სამსახურსაც და რა ხასიათის სამუშაოს და თანამდებობას არ უნდა ასრულებდნენ ისინი სამოქალაქო სამსახურში. ყოველნაირი ამდაგვარი შუამდგომლობანი კომისარიატის მიერ განხილული არ იქნება.

საქართველოს სამხედრო კომისარი **ბუტულაშვილი.**

მისი თანაშემწე სატეხნიკო დარგში **ავალიშვილი.**

მე-2-რე სამობილიზაციო ნაწ. უფროსის მაგიერი **ა. ბერეკაშვილი.**

ჩვენი ასეული საბანაკო სამზადისში

ჩვენი ქართულ მსროლელ დივიზიის ცალკე საკავშირო ასეული უკვე შეუდგა საზაფხულო ბანაკად გასვლის წინასწარ მუშაობას და გაგზავნა წინ ერთი ოცეული, რომელიც ამზადებს და ამშვენიერებს ბანაკს.

ბევრ სხვა მუშაობების გარდა, რომლისთვისაც ემზადება, როგორც სპეციალურ, ისე კულტურულ და პოლიტიკურ ფრონტებზე სამუშაოდ—ასეულს გადაწყვეტილი აქვს აიღოს კულტ-შეფობა ბანაკთან ახლო მყოფ სოფლებზე.

კულტ-შეფობის ქვეშ ასაყვანად განზრახული სოფლები უკვე მოიარეს ჩვენმა პოლიტ-მუშაკებმა და სამისო მზადებაც დაიწყო.

ჩვენი საზაფხულო ბანაკი მშვენიერ და მხატვრულ მიდამოს წარმოადგენს. კულტ-შეფობის ქვეშ ასაყვანი სოფლებიც აქვე ახლო-მახლოა.

თვითეულ სოფელში მცხოვრებთა რიცხვი არ აღემატება სამოც-სამოცდა ათ კომლს.

არ მოდის ჟურნალ-გაზეთები, არაა სამკითხველოები;

მთელ რამდენიმე სოფლებში არის ორად-ორი პირველ დაწყებითი სასწავლებელი, რომელიც გახსნიათ ამ ოთხი წლის წინად, და რომელიც ვერა სდგას ღირსეულ ნიადაგზე.

სოფლებს ეტყობა სიღარიბე. მისდევენ სიმინდის და პურის ხვნა-თესვას, მაგრამ მოსავალი ნაკლები იცის. ამას გარდა ხე-ტყის დამუშავებას მისდევენ და მით ირჩენენ თავს.

მშვენიერი და მხატვრული ბუნება აქ და ცივი ჰავა იცის. ყველა სოფლებს გაშენებული აქვთ ხილის ბაღები, მაგრამ ვენახი კი ვერ ხეირობს.

მიუხედავად კულტურულ ჩამორჩენილობისა—მცხოვრებნი ანტი-რელიგიურად არიან განწყობილნი და ყურს აღარ ათხოვენ „სულის მამებს“, რომელნიც კიდევ დაძვრებიან აქა იქ.

ამ სოფლებში იმუშავებს კულტ- და პოლიტ ფრონტზე ჩვენი ასეული, რომელიც ხელს შეუწყობს წითელარმიელთა და გლეხობის დაახლოვებას.

განზრახულია მოეწყოს აგიტ-კამპანიები და საუბრები გლეხობისათვის საინტერესო თემებზე, გაიმართოს უფასო საღამო-წარმოდგენები და სხვა.

წითელარმიელი.

საბჭოთა სასამართლო

მკვლელის გასამართლება

ალმ. საქ. ოლქის სასამართლომ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე დ. ნასარიძე, სახ. მსაჯულნი—ი. კვახაძე და დ. უსოვი, პროკ. თან. ჭიჭინაძე და მდივანი არჩუაშვილი,—მოისმინა ს. კ. პ-ის ყოფილ წევრის, ხელობით ზეინკალის პავლე გაბრიელის ძე ლუკიანოვის საქმე, რომელსაც ბრალათ ედება ს. ს. კ-ის 147 და 88 მუხლის 1 ნაწილში გათვალისწინებული ბოროტმოქმედებანი.

ბრალდებული ლუკიანოვი 1922 წელს მსახურობდა ცენტრ. მუშ. კლუბის გამგის თანამდებობაზე. მისი თანაშემწე იყო ლუკიანოვის პირადი მეგობარი და პარტიული ამხანაგი გიორგი ელიზოვი. უკანასკნელი ახლო დამოკიდებულებაში იყო ვინმე ეკატერინე ანენჩენკოს ქვრივთან, რომელთანაც უნდა დაქორწინებულიყო. პ. ლუკიანოვს მოსწონებია და შეჰყვარებია ეკატ. ანენჩენკოს ქალიშვილი ალისა, (რომელიც წინეთ ვინმე მიქაძის ცოლი ყოფილა). ლუკიანოვის წინადადებაზე ცოლათ წაყოლის შესახებ ალისა მიქაძემ უარი განაცხადა, ვინაიდან მას უკვე ყოლია უფრო მდიდარი საქმრო,—ვიღაც ვაჭარი.

სასოწარკვეთილი ლუკიანოვი 1922 წლის 16 აგვისტოს ესტუმრა ღამით ანენჩენკოს, გააღვიძა დიასახლისი ქვრივი და იქვე მყოფი ელიზოვი და მოითხოვა კარის გაღება. კარი არ გაუღეს. ლუკიანოვი კარს ამტვრევს. ხმაურობაზე მოგროვდა ხალხი და „სკანდალის“ ყველა მონაწილენი მილიციაში წაიყვანეს. გზაზე ელიზოვს და ლუკიანოვს ჩხუბი მოუვიდათ, რის შედეგათ ლუკიანოვმა იქვე მოჰკლა ელიზოვი და გაიქცა. მას დაედევნა მილიციონერი, რომელსაც ლუკიანოვმა აგრეთვე ესროლა, მაგრამ უშედეგოთ. ლუკიანოვი სადღაც ეზოში შევარდა, დიდი წინააღმდეგობა გაუწია მილიციონერებს, მაგრამ დაბოლოს შეპყრობილ იქნა.

სასამართლომ მკვლელობისათვის მიუსაჯა ბრალდებულს თავისუფლების აღკვეთა 5 წლით მკაცრი იზოლიაცით გამასწორებელ სახლში, ხოლო მილიციისადმი შეიარაღებულ ძალით წინააღმდეგობის გაწევისათვის და ხელისუფლების წარმომადგენლის მოკვლის განზრახვისათვის—ასეთივე სასჯელი 10 წლის ვადით და სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვით 5 წლის ვადით. სასჯელის საბოლოო ვადათ დანიშნული იქნა 10 წელიწადი. სასამართლომ დაადგინა აგრეთვე შუამდგომლობა აღძრას ცაკ-ის წინაშე პ. ლუკიანოვის მიმართ ამნისტიების შეუფარდებლობის შესახებ.

მეცნიერება და ტეხნიკა

ოქრო კვამლიდან.

1904 წ. სან-ფრანცისკოს (ამერიკაშია) სტუდენტმა კოტრელმა განიზრახა ჰაერის გაწმენდა მტვერისაგან ელექტრონის საშუალებით. მისმა პირველმა ცდებმა დადებითი შედეგები არ გამოიღო. 1906 წ. მან გააკეთა ახალი აპარატი, რომლის საშუალებით მან მტვერი ჰაერში ელექტრონით გაჟღინთა და ამრიგად მოაგროვა მტვერის 95 პროც. ამ აპარატით სარგებლობენ ამის შემდეგ დიდი ქიმიური ქარხნები ევროპაში და ამერიკაში და ისეთს შედეგებს მიაღწიეს, რომ თითქო უსარგებლოდ დაკარგული მტვერიდან სარგებლობასაც კი იღებენ. ასე მაგალითად, ერთი ფაბრიკა ამერიკაში ყოველდღიურად აგროვებს 2.000 კილო ასეთ მტვერს, რომლიდანაც იღებს 42 პრ. ტყვიას, ერთ მეოთხედ გირვანქა ვერცხლს და სხვა ნივთიერებას. მეორე ფაბრიკა, ისიც ამერიკაში, ყოველდღე აგროვებს 437 ფუთ ჭვარტლს და ამ ჭვარტლიდან იღებს 42 პროც. ტყვიას, ორნახევარ გირვ. ვერცხლს და 70 გრამს (გირვანქაში 400 გრამია) ოქროს. გასაკვირველია, მაგრამ ეს ასეა: მჭვარტლიდან შოულობენ ვერცხლსა და ოქროს. პირველად ამერიკაში ცემენტის ქარხნებში მტვერს სწმენდენ იმიტომ, რომ ის ფარავდა მთელს არე-მარეს; მაგრამ ქიმიური ანალიზის დროს აღმოჩნდა, რომ ეს მტვერი შეიცავს 10 პროც. მიწის საუკეთესო სასუქს. ამერიკელმა ინჟინრებმა გამოიანგარიშეს, რომ, თუ ამ მეთოდით ყველა ქარხნები ისარგებლებენ, წელიწადში შეიძლება 90.000 ტონა ასეთი სასუქის მოგროვება მთელს ამერიკაში.

ყველაზე ცხელი ადგილი დედამიწაზე.

ყველაზე ცხელი ადგილი დედამიწაზე, უკანასკნელი გამოკვლევებით, არის ე. წ. „სიკვდილის ველი“ კალიფორნიაში, სიგრძით 150 და სიგანით 3—13 კილომეტრი. ამ ველის ყველაზე ღრმა პუნქტი დევს 84 [illegible] ზევით ზღვის დონეზე. 10 წლის განმავლობაში სწარმოებდა ამ ველზე ტემპერატურის შესწავლა. გამოირკვა, რომ საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის 18 გრადუსს, ზაფხულის საშუალო ტემპერატურა — 34,6 გ. 1913 წლის 10 ივლისს კი იქ იდგა 60 გ. სიცხე,—ყველაზე უდიდესი ტემპერატურა, რომელიც ოდესმე აღმოუჩენიათ სადმე დედამიწის კუთხეში.

მუშათა ცხოვრება

უძღვნი ზემო-ავჭალის მუშებს

(„კომუნისტი“-ს მუშკორების 8 ივნისის ექსკურსიის გამო).

მოველ გნახე, გულით ვხარობ;
სული მტკიცე გრძნობით სტკბება;
ჩვენს ქვეყანას ბედი სწყალობს.
მშრომელს შრომა უფასდება.

ჩემ იმედიც ათასკეცობს;
უდავოა სინამდვილე;
სისხლ-ხორც შესხმულ საქმეს ვხედავ
ვნახე, ტკბილად მოვილხინე.

გაუმარჯოს ახალ ხანას,
შეერთებულ მუშათ ძალას!
გაუმარჯოს მათ, ვინც აძლევს
ღამეს ნათელს, მიწას ღალას.

გაუმარჯოს დიად შრომას,
გულწრფელსა და უანგაროს!
გაუმარჯოს ყველა იმათ,
ვინც ქვეყანა ააყვავოს!

მუშა შაქრო ნავთლუღელი.

ლენინის სახელობის კლუბის სამკითხველო

თბილისის მუშათა კლუბებთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ამხ. ლენინის სახელობის კლუბს, როგორც თვისი შინაარსით, მოწყობილობით, იდეური მუშაობით, ისე მოსიარულეთა რიცხვით.

ხსენებულ კლუბთან არსებობს წიგნთსაცავ-სამკითხველო, რომლის გამგე, ნინო ენუქიძე, დიდი სიყვარულით ეპყრობა კულტურულ საქმეს და სამკითხველოს მუშაობას. მან, როგორც საქმის მცოდნე პირმა და ენერგიულმა მუშაკმა, სათანადო წერტილზე დააყენა სამკითხველო, ხალისიანი მუშაობით, რითი მან მოიპოვა მუშებში დიდი პატივისცემა და ყურადღება. დღითი-დღე სამკითხველოში მოსიარულეთა რიცხვი მატულობს, რაც იმის დამადასტურებელია, რომ წიგნთსაცავ-სამკითხველო გაფართოვდა. პირველ რიგში სამკითხველო იძენს ახალ ლიტერატურას სხვა და სხვა დარგიდან. იწერება აგრეთვე რუსეთის ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები.

მუშკორი მელითონე.

გამოუცვალეთ ამ ქუჩას სახელი

(ქალაქის ალმასკ. საყურადღებოდ).

თბილისში, უმთავრესად განაპირა უბნებში დარჩენილია ისეთი სახელწოდების ქუჩები, რომელნიც ატარებენ სახელს ძველი წარჩინებულ წოდებათა და პრივილეგიამოსილ წრეებისა.

ერთ ასეთ სახელწოდების ქუჩად დავასახელებ „დვარიანსკაია“ ქუჩას (აბას-აბადის მოედანზე).

შეუწყნარებელია ქუჩის ასეთი სახელწოდება, მით უმეტეს უკვე მე-7-ე წელია, რაც აღსასრული დაუდგა თავადაზნაურთა და „მაღალ“ წოდებათა სახელს და დიდებას და რად შერჩა მათი სახელი რომელიმე ქუჩას! ალმასკომის მოვალეობას შეადგენს ასეთ სახელწოდების მატარებელ ქუჩებს დაარქვას სხვა შესაფერი სახელი.

მუშკორი მ. ა.

ქალ. ალმასკომის საყურადღებოდ

ჩერქეზიშვილის ქუჩაზედ სახლი № 123-ი ეკუთვნის სიტყვიერად პატრონს, მაგრამ სინამდვილეში არც ერთი მათგანი არ პატრონობს მას. სახლის კედლები სულ დახეთქილია. მაღლიდან წვიმა ჩამოდის და ყველა ოთახების ჭერები ჩამოქცეულია. მეორე სართულში ასასვლელი კიბეები დამპალია და მოსალოდნელია რაიმე უბედურება დატრიალდეს, თუ დროზედ არ მიექცა მას ყურადღება. ეზოში სისუფთავე ვერ არის დაცული, რადგანაც თვით მილიციის მოსამსახურესაც კი ღორები ყავს. დიდი უმრავლესობა მდგმურებისა არიან რკინისგზის მუშა-მოსამსახურეები. ალმასკომო, მიაქციე ყურადღება და სახლს გაუჩინე გულ-შემატკივარი პატრონი!

მუშკორი **შორეული.**

უწყლობა გვაწუხებს

(ქალ. ალმასკომის საყურადღებოდ).

დადგა ზაფხული და წყლის მოთხოვნილებაც საზოგადოდ გაიზარდა. უწყლობამ განსაკუთრებით თავი იჩინა ქალაქის მაღლობ ადგილებში, სადაც წყალი ან სავსებით არ არის, ან და მოდის ძალიან ნაკლებად და არა საყოფად. კრიზისს განსაკუთრებით ხელს უწყობს ქალაქის ახლად გაშენებული მრავალი ბაღების მორწყვა. თუ ეს გვალვა კიდევ გაგრძელდა, ბაღები მთლიანად მოინდომებენ იმ წყალს, რომელიც მაღლობ ადგილებში უნდა წასულიყო. ამისათვის საჭიროა რაიმე ზომების მიღება, სანამ წყალსადენი შესძლებდეს ყველა მოთხოვნილებათა სავსებით დაკმაყოფილებას. ასეთ ზომად მე მიმაჩნია შემდეგი: ბაღების მოსარწყავად წყლის ბოჭკებით ზიდონ მტკვრის წყალი. ორი ან სამი წყლის საზიდი ბოჭკის, თავისი ცხენით და კაცით შენახვა მაინც და მაინც ძვირად არ დაუჯდება ალმასკომს, რომელიც შესძლებს ამ ხარჯების დაფარვას იმ შემოსავლიდან, რომელსაც ის მიიღებს მცხოვრებლების მიერ მოხმარებულ წყალში. საჭიროა ამის შესახებ ვიცოდეთ ამხ. დიასამიძის აზრი.

მუშკორი **ა. ნ.**

საჭიროა სასტიკი ბრძოლა პროსტიტუციის წინააღმდეგ

(ქალ. ალმასკომის საყურადღებოდ).

რამდენიმე თვის წინად საპიორის ქუჩაზე 48 №-ში სახლის პატრონმა გულულოვმა დაბლა სართულის ერთ ოთახში ჩაასახლა ვინმე პეტრიაშვილის „ოჯახი“—დედა-შვილით.

დღიდან მათი ამ ბინაზე გადმოსახლებისა ეზოს იმ თავითვე დაეტყო დიდი ცვლილება. დედა-შვილთან დაიწყო სიარული მრავალფეროვანმა ხალხმა.

კითხვაზე; „თუ ვინ არიან ეს ხალხი, რომელნიც ყოველდღე, სისტემატიურად დაიარებიან მათთან“, სახლის პატრონი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დაინტერესებულია ოთახის ქირით, რომელსაც, რასაკვირველია, ეს „პატიოსანი ოჯახი“ ამ მხრივ „შესაფერისად“ აკმაყოფილებს მას, ამ სახლში მცხოვრებთ გვიპასუხებდა: „ეს მათი ნათესავებიაო“.

მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში სავსებით გამოირკვა ამ „ნათესავების“ ვინაობაც.

დღე არ გაივლის ისეთი, რომ ვინმე 15—20 კაცი რიცხვით არ „ესტუმროს“ ამ დედა-შვილს და ეს „ქალბატონებიც“ თავის მხრივ არ გაუმასპინძლდენ მათ, როგორც „წესია და ჩვეულება“. ისინი არიან პროფესიით გარყვნილი დედაკაცები, წმინდა წყლის პროსტიტუტკები.

ყოველივე ამ სისაძაგლეს და გარყვნილ ცხოვრების სურათების მოწმენი ხდებიან პაწია ბავშვებიც, რომელთაც ძალაუნებურად უხდებათ მიაპყრონ ასეთ საზიზღარ სცენებს ყურადღება.

სწორედ 8 ივნისს, ღამის 3 საათზე, ამ გარყვნილ და ზნე-დაცემულ დედა-შვილს გამოედევნენ ღვინით გალეშილი მთვრალი კაცები, შემოამტვრიეს ალაყაფის კარები, შემოცვივდენ ეზოში, დაიწყეს მათი საცხოვრებელი ბინის ძებნა, ასტეხეს ჩხუბი, გამოაღვიძეს ყველას, დააფრთხეს ძილი შიშით წამოვარდნილ პატარა ბავშვებსაც. და როდესაც ამ მთვრალებმა ვერ იპოვეს ეს ქალები, რადგან ისინი იქვე ახლობლად მიიმალენ, მივარდნენ აქვე მცხოვრებ ერთ მუშის, ჩხეიძის, პატიოსან ოჯახს, დაუწყეს გინება და კატეგორიულად მოითხოვდენ მისგან ვითომდაც მის მიერ „დამალულ ქალებს“ (!), ემუქრებოდენ გაჩხრეკით და სხვა ასეთებით.

სახლის პატრონი გულულოვი ამ საძაგელ გარყვნილ საქმეებს ხელს აფარებს და ხელსაც უწყობს, მიუხედავათ მრავალჯერ ჩვენი გაფრთხილებისა.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს სასწრაფო ყურადღება 2-ე უბნის მილიციის მიერ და ეს გარყვნილი ოჯახი აუცილებლად გადასახლებული იქნას.

ოთახი კი საჭიროა და აუცილებელი არის გადაეცეს მეეზოვეს, რომელსაც არა აქვს საცხოვრებელი ბინა და დროებით თავშეფარებულია მოსკოვის ქუჩაზე იმ დროს, როდესაც ის უნდა სცხოვრობდეს სწორედ ამ საპიორის ქუჩაზედ, როგორც ამ ქუჩის მეეზოვე და დარაჯი.

შ. ანდღულაძე.

მუშათა წერილები მიზანს აღწევენ.

(ალმასკომის პასუხი)

ა/წ. „კომუნისტი“-ს №№ 109 და 120-ში იყო მოთავსებული შენიშვნები სამიკიტნოებში, კაფე-რესტორანებში და სხვ. ასეთ ადგილებში რევოლიუციის ბელადების სურათების ჩამოკიდების შესახებ.

პირველი შენიშვნის გამოქვეყნებისთანავე 19 მაისს № 1318-ით ფრ. სასწრაფო სახით დაევალა თბილისის მ/გ. მილიციის უფროსს ამ დაუშვებელი მოვლენის წინააღმდეგ სათანადო ზომების მიღება და დღეს ხსენებული სურათები თანდათან უკვე იხსნება ყველა რესტორან-კაფეებიდან.

ადმინისტრატიულ-სამოქალაქო ქ. განყოფილება.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

ამხ. ფეიქარს.

უკვე შესრულდა 5 თვე ნახევარი მას აქეთ, რაც მე საფეიქროში ვმსახურობ და ვიცი, რომ, შრომის კანონთა კოდექსის თანახმად, მე მეკუთვნის ნახევარი თვის შვებულება, მაგრამ ადმინისტრაცია ჯერ-ჯერობით შვებულებას არ მაძლევს; მოვსთხოვე მას საკომპენსაციო ჯილდო; ის არც ამას მაძლევს, მპირდება მხოლოდ შვებულებას. ჯანმრთელობით კარგად ვარ.

გთხოვთ მაცნობოთ, კანონიერად იქცევა თუ არა ჩემ მიმართ ადმინისტრაცია, რომ ის არც შვებულებას და არც საკომპენსაციო ჯილდოს მაძლევს ჩემი სურვილისამებრ.

პასუხი:

თქვენ უნდა იცოდეთ, ამხანაგო, რომ შრომის კანონთა კოდექსი ხუთი ნახევარ თვის ნამსახურს, მუშა ან მოსამსახურეს, აძლევს მხოლოდ შვებულებით სარგებლობის უფლებას ხანგრძლივობით არა ნაკლებ ორი კვირისა, მაგრამ ეს კი არ ნიშნავს იმას, რომ მუშა-მოსამსახურეს 5 თვე ნახევრის სამსახურის ბოლოსვე დაუგვიანებლად და დაუყოვნებლივ მიეცეს შვებულება, ან კომპენსაცია. შვებულების მიცემა სწარმოებს მთელ საკალენდრო წლის განმავლობაში და ადმინისტრაციას აქვს უფლება, თუ კი ამას მოითხოვს წარმოება-დაწესებულების ინტერესები, მისცეს მშრომელს შვებულება დაგვიანებითაც, საკალენდრო წლის ბოლოში.

თუ კი წლის ბოლოშიც ადმინისტრაცია ველარ ახერხებს მუშისათვის შვებულების მიცემას და შვებულებით სარგებლობა ნატურით მაშინაც ვერ ხდება, რაც აუცილებლად დადასტურებული უნდა იქნეს საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიის მიერ, მაშინ ადმინისტრაცია ვალდებული ხდება საანგარიშო წლის ბოლოს მისცეს მშრომელს საკომპენსაციო ჯილდო.

ამიტომ თქვენ დამქირავებელს ამ ჟამად ველარ მოსთხოვთ საკომპენსაციო ჯილდოსაც.

ხელოვნება

საზაფხულო სიმფონიური კონცერტები სეზონის გახსნა.

საზაფხულო სიმფონიური კონცერტების სეზონი მეტად ხელსაყრელ პირობებში გაიხსნა.

ორკესტრის შემადგენლობაში მოწვეულია 55 კაცი; საქმეს სათავეში უდგას ნიჭიერი სტოლერმანი.

პროგრამა შედგენილია გამოჩენილ კომპოზიტორთა ნაწარმოებიდან. ყველაფერი ეს თავდებია იმის, რომ მიმდინარე წელში სიმფონიური კონცერტების საქმე სერიოზულ ნიადაგზე იქნება დაყენებული და ის ისეთივე პოპულიარული იქნება, როგორც შარშან იყო.

პირველი კონცერტის პროგრამა შესდგებოდა ლისტის პოლონეზიდან, რომელიც სპეციალურად გადამუშავებულია ორკესტრისათვის. შესრულება მეტად კარგია, როგორც გარეგნულის (რითმი, ნიუანსებია ტემპერამენტი), ისე შინაარსის მხრივაც (მუსიკალობა, ფრაზიროვკა).

ვერ დავეთანხმებით სტოლერმანს სენ-სანსის სიმფონიური პოემის „სიკვდილის ცეკვა“-ს გაგებაში. აქ საჭიროა ბნელი ძალების ვაკხანალიის დასურათება. თემები თანდათან უნდა ვითარდებოდენ და ასე უნდა მიაღწიონ უმაღლეს წერტილს. შემდეგ კი გათენებისას (მამალის ყივილი) ვაკხანალია ერთბაშათ წყდება და ძირითად თემას სცვლის ლირიული თემა (დილა).

სტოლერმანი მთელი პოემის მანძილზე რამოდენიმეჯერ იცვლის ტემპს.

მეტად მუსიკალურათ და სტილიურათ იყო შესრულებული მოცარტის სერენადა, გარდა მესამე ნაწილისა (მენუეტი); აქ საჭიროა უფრო გამჭვირვალე ნიუნსები.

დამთავრებულია ჩაიკოვსკის თემაზე აგებული ვარიაციების შესრულება. გამოყოფილია მთავარი თემები. კიდევ უფრო ლამაზათ, კოლორიტიულათ და ტემპერამენტით იყო შესრულებული მშვენიერი სიმფონიური პოემა „ესპანური კაპრიჩიო“.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ სტოლერმანი მხატვრულათ უდგება ყველა ნაწარმოებებს. მას დიდის ტემპერამენტით მიყავს ორკესტრი და აუდიტორიაც გატაცებული უსმენს მას.

მუსიკოსი.

ქართული სახალხო კონცერტი.

კავსაძეთა ოჯახი—სახალხო მომღერლებია. ეს სჩანდა იმ კონცერტის ხასიათშიც, რომელიც გამართული იყო ალექსანდრე და მიხეილ კავსაძეების მიერ სახალხო სახლში 6 ივნისს.

კონცერტის მიზანი იყო ქართველი ხალხის (უმთავრესად გლეხობის) ცხოვრების ასახვა, როგორც ვოკალურ ნომერებში, ისე სცენიურ სახეებში და ჯგუფებში.

კონცერტი დაიწყო რევოლიუციონური ჰიმნის „ინტერნაციონალის“ შესრულებით ქართულ ენაზე. შემდეგ, პირველ განყოფილებაში მიხ. კავსაძის მეთაურობით შესრულებული იყო რამოდენიმე საგუნდო სიმღერა. მათ შორის აღვნიშნავთ ხალხურ სიმღერას „ბერი კაცი“, რომელიც მიხ. კავსაძის მიერ არის დამუშავებული; გუნდის მიერ შესრულებული იყო აკ. წერეთლის „მშვენიერო შენ გეტრფი“ მუსიკალურის მხრივ ევროპიულათ დამუშავებული ალ. კავსაძის მიერ.

კახურ სიმღერებიდან აღსანიშნავია მიხ. კავსაძის მიერ დამუშავებული „მოდისო მტერი კახელო“. პირველი განყოფილება დამთავრდა „ფაცხა“-ს და „წმინდა ცა“-ს შესრულებით.

მეორე განყოფილებაში გათამაშებული იქნა აქ. ცაგარლის „მათიკოს“ მესამე მოქმედება. ყველა როლები განაწილებული იყო სახალხო სახლის ქართული დრამის მსახიობთა შორის. სამწუხაროთ, ამ ნაწყვეტის შესრულება არ შეიძლება დამაკმაყოფილებლათ ჩაითვალოს. მოქმედება ზანტათ მიდიოდა. მსახიობებმა, ერთის გარდა, როლები არ იცოდენ. მოქმედება გამოაცოცხლა სცენის გარეთ შესრულებულმა გლეხურმა სიმღერამ. აქ მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო ოპერის მსახიობმა ლადო კავსაძემ.

კონცერტი დამთავრდა ცოცხალი სურათის დადგმით—დიალოგებით, საგუნდო სიმღერებით, სოლოს სიმღერით და ცეკვით. ეს სურათი წარმოადგენდა გლეხების დასვენებას ღამით მთელი დღის მძიმე შრომის შემდეგ. საუცხოვოთ და დიდის განწყობილებით შეასრულა ალექ. კავსაძემ ურმული; გუნდის მიერ შესრულებული იყო ქართლ-კახური სიმღერები.

ცოცხალი სურათი დამთავრდა ცეკვით: „ცანგალა და გოგონა“ და ფერხული.

კონცერტმა მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა აუდიტორიაში როგორც თავისი შინაარსით, ისე შესრულებით.

გუნდი კარგათ არის გაწვრთნილი. მღერიან მუსიკალურათ და ნიუანსებით. აღსანიშნავი არიან სიმღერის წამომწყები მომღერლები, მათ ლამაზი ხმები აქვთ და მუსიკალურადაც მღერიან.

პ. ბ.

ავლაბრის მუშათა კლუბში.

შაბათს, 7 ივნისს ავლაბრის მუშათა კლუბში ახლათ შემდგარ ქართულ დრამატიულ წრის მიერ წარმოდგენილი იყო ქართულ ენაზე ირთელის მიერ ნინოშვილის მოთხრობიდან გადაკეთებული დრამა „ქრისტინე“ ქრისტინ. როლს ასრულებდა კოჩიაშვილი. წარმოდგენაში იღებდენ მონაწილეობას შემდეგი ამხანაგები: კირვალიძე, მირველოვი, ფერიაშვილი, ჩაჩანიძე, ხუციშვილი, სულთანიშვილი, ცატუროვი, ჟუჟუნაშვილი და სხვები. ყველანი როლებს საუცხოვოთ ასრულებდნენ. საზოგადოება დიდ აღტაცებაში იყო.

საბარგო მატარებლები სხვადასხვა ქვეყნებში.

საბარგო მატარებლების საშუალო ტვირთი უდრის: ინგლისში—7.800 ფ., საფრანგეთში—9.000 ფ., ავსტრიაში—12.000 ფუთს, გერმანიაში—13.500 ფ., ჩრდილოეთ-ამერიკაში—39.000 ფ. წლის განმავლობაში ერთ ვერსზე მოდის: საფრანგეთში—24.900.000 ფუთი ტვირთი, ავსტრიაში—27.900.000 ფ., ინგლისში—33.600.000 ფ., ჩრდილოეთ-ამერიკაში—60.000.000 ფ. საბარგო მატარებლები უმთავრესად შესდგებიან 35—40 ვაგონიდან.

ინგლისის რკინისგზებზე ტვირთი გადააქვთ ერთნახევარჯერ უფრო ძვირად, ვიდრე გერმანიაში და საფრანგეთში და ორნახევარჯერ უფრო ძვირად, ვიდრე ამერიკაში.

ქრონიკა

■ **ქუთაისის საკრებულო ტაძრის დანგრევა.** 3 ივნისს დაიწყეს ქუთაისის საკრებულო ტაძრის დანგრევა. მის ადგილას აშენებული იქნება ქალაქის ახალი თეატრი.

■ **ეკლესიის ქონება.** ქუთაისის ალმასკომმა ყოფ. პეტრე-პავლეს ეკლესიის ქონება გადასცა მესამე ლეგიონის კლუბს.

■ **საქ. ს. ს. რ. ბიუჯეტი.** 23—24 წლის მეორე ნახევარის განმავლობაში, საქ. სახკომსაბჭომ საბიუჯეტო ფონდი გაანაწილა უწყებებს შორის შემდეგი სახით: ცაკს ჯამაგირებისათვის და სოც. დაზღვევის საქმისათვის—4,354 მან. და 56 კ. მასვე სხვადასხვა ხარჯებისათვის—15,000 მან., სახკომსაბჭოს—23,460 მ. და 56 კ. 123,230 მან., შინაგ. საქ. სახ. კომისარიატს—221,693 მან. 51 კ. და 94,000 მან., იუსტიციის სახკომისარიატს—239,095 მ. 19 კ. და 42,000 მან., სახგანკომს—1,623,707 მან. 12 კ. და 372,000 მ., მიწადმოქ. კომისარიატს—5,987 მან. 24 კ. და 67,000 მან., სოც. უზრ. კომისარიატს—13,579 მ. 69 კ. და 12 770 მან., ცენტრ. სტატ. სამმართველოს—102,164 მან. 81 კ. და 47,000 მან. სულ ჯამაგირებისათვის (ხელფასისათვის) 2,372,000 მან. და სხვადასხვა ხარჯებისათვის—988,000 მან.

■ **ქუთაისის საქსოვი ქარხანა.** ქუთაისის საქსოვმა ქარხანამ უკვე დაიწყო მუშაობა.

■ **ბრძოლა უმუშევრობასთან.** უმუშევრობასთან საბრძოლველ ფონდის გასძლიერებლად შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა უმუშევართა არტელების შემოსავლიდან გადასდოს 9 პროცენტი.

■ **უმუშევართა დაზღვევა.** მაისის განმავლობაში დაზღვეულ იქნენ 2285 უმუშევარი, აქედან 1-ლი კატეგორიის 691 კ. ხოლო მე-2 კატეგორიის 1594 კ.

■ **ფეოდოსიევის ეკლესია.** ყოფ. ფეოდოსიევის ეკლესიის შენობაში განზრახულია მოეწყოს ქალაქის მუზეუმის არქივი.

■ **წყალსადენის გაყვანა.** იმ ქუჩებზე, სადაც ქალაქის ალმასკომს თავის ხარჯზე გაყავს წყალსადენის მაგისტრალები, მცხოვრებლებს შეუძლიათ წყალსადენის მილები გაიყვანონ სახლებში ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდით.

■ **მოწმობაზე გამოცდების ჩაბარება.** განათლების კომისარიატის დადგენილებით მოწმობაზე გამოცდების წარმოება შრომის სკოლებთან ან ამავე სკოლებთან საგანგებოდ მოწყობილ კომისიებში აკრძალულია. თუ ვინმეს სურს სწავლის გაგრძელება, საკითხს მათ მიღების შესახებ სწყვეტს პედაგოგიური საბჭო.

■ **არდადეგები საბავშვო ბაღებში.** ვინაიდან ზაფხულში საბავშვო ბაღებში ბავშვების რიცხვი მეტად მცირდება, ამიტომ ბაღებში მეცადინეობა შესწყდება 1 ივლისიდან, ხოლო დარჩენილი ბავშვები მოგროვილი იქნებიან ერთ-ერთ რაიონულ ბაღში, რის მიხედვით შემოღებული იქნება პედაგოგიურ პერსონალის და თანამშრომლებისათვის შვებულებები.

■ **ნავთის რეზერვუარები.** საქ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით ფოთის ნავთის რეზერვუარები გადაეცა ს. ს. მ. უ. საბჭოს.

■ **საკრედიტო ამხანაგობანი.** სასოფლო მეურნეობის ბანკის მიერ წარდგენილი პროექტი საკრედიტო ამხანაგობათა დაარსების შესახებ სახკომსაბჭომ დასკვნისათვის გადასცა იუსტიციის და ფინანსთა სახ. კომისარიატებს.

■ **ახალი სკოლები.** 1923—24 სასწავლო წელში ახალქალაქის მაზრაში გაიხსნა სულ 7 შრომის ახალი სკოლა, მათ შორის ერთი რუსული სკოლა ადგილობრივ მალაკნებისათვის.

■ **მოწაფეთა ნამუშევარის გამოფენა.** კვირას, 8 ივნისს, 46 ცხრაწლიან შრომის სკოლაში გაიხსნა მოწაფეთა ნამუშევარის გამოფენა. გამოფენილია მოწაფეთა ნამუშევარი მთელი წლის განმავლობაში—მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, და ბუნების მეტყველებაში. გამოფენა დაიხურება 12 ივნისს.

■ **ახალი სკოლები ახალციხის მაზრაში.** 1923—24 სამოსწავლო წ. განმავლობაში ახალციხის მაზრაში გაიხსნა სულ 17 ოთხ-წლიანი შრომის სკოლა.

■ **საზაფხულო მუშაობა სოფლებში.** სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში 10 ივნისიდან იწყება ინტურგტიური მოხსენებების კითხვა სოფლებში მიმავალ სტუდენტებისათვის შემდეგ თემებზე; 1. საბჭოთა აღმშენებლობა სოფლათ, 2. პოლიტ-განმანათლებელი მუშაობა, 3. სასოფლო მეურნეობა და კოოპერაცია, 4. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და საგლეხო სესხი, 5. აგრონომიული პროპაგანდა სოფლათ, 6. ანტი-სარწმუნოებრივი პროპაგანდა. ლექციების წასაკითხავათ მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: მარია ორახელაშვილი, ხაჭაპურიძე, ვანო ცინცაძე, ი. წივწივაძე, ო. ქვანია, თედო ღლონტი პიჩიკიანი, სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის პროფესორები და სხვები.

■ **არა სრულ წლოვან დეფექტიური ბავშები.** მაისის განმავლობაში არა სრულწლოვან დეფექტიურ ბავშთა დაცვის განყოფილებაში შემოვიდა სულ 70 საქმე, მათ შორის 45 ქურდობის გამო, 2 უზნეობის, და ორიც სხვა და სხვა ბოროტმოქმედებების, ხოლო 21 დაუსრულებელი აპრილის საქმე. 1 ივნისისათვის გარჩეული იყო 40 საქმე, მოსპობილია 11 საქმე, სასამართლოს გადაეცა 4, ხოლო 15 კი მოძრაობაშია. მაისში შემოსული 99 საქმეში ბრალი ედება 79 ბავშს, მათ შორის ერთი ქალია. ეროვნების მიხედვით: ქართველი—19, რუსი—22 სომეხი—29 და მუსულმანი—9.

■ **უფასო წარმოდგენა მუშებისათვის.** ქ. ალმასკომმა ბაქოს თეატრს გადასცა 150 მან. ნაძალადევში მუშებისათვის წარმოდგენის დასადგმელათ.

■ **მილიციის პოსტი.** ვინაიდან სასოფლო საბჭო კოჯორიდან გადმოყვანილია სოფ. წავკისში, ქ. ალმასკომმა გადასწყვიტა სამილიციო პოსტიც კოჯორიდან გადაიტანოს სოფ. წავკისში.

■ **მეფუტკრეობა.** ქ. ალმასკომმა სახელმწიფო კინო რეჟისორს პერესტიანს მეფუტკრეობის საქმის მოსაწყობათ კახეთში გადასცა კანდელაკისეული აგარაკი იჯარით.

■ **სისტემატიურ უწესოებისათვის.** ქ. ალმასკომმა მილიციის უფროსის განცხადების თანახმად დიდუბის ქ. № 8, მოვაჭრე არუთინოვი დააპატიმრა და აუკრძალა ვაჭრობა სისტემატიურ უწესოებათა ჩადენისათვის.

■ **შავი ბირჟა.** ბოლო ხანებში შავი ბირჟა ისევ აპირებს გაცოცხლებას, მაგრამ მილიციის მიერ მიღებული ზომებით „ბირჟევიკები“ ვერ ახერხებენ ვალიუტით სპეკულიაციას. მილიციამ შეიპყრო ერთი ბირჟევიკთაგანი ვართიკიანი, რომელსაც ჩამოართვა 16 ჩერვონეცი და 6 ნახ. ლირა.

■ **ქალაქის ლომბარდი.** ქ. ალმასკომმა ქ. ლომბარდის ოპერაციებზე პროცენტები განსაზღვრა შემდეგნაირათ: გაცემულ თანხის სარგებელი 1 ნახ. პროც. გირაოს შენახვაზე—1 ნახ. პროც. სულ 3 პროცენტი.

■ **შეცდომის გასწორება.** „კომუნისტის“ კვირის ნომერში ს. თ-იას „პატარა ფელეტონში“ დაშვებულია შემდეგი შეცდომები: ჩოხატაურ-საჯავახოს შარაგზის დამხმარე კომიტეტის წევრთა სიაში ს. მგალობლიშვილის მაგიერ უნდა იყოს **ს. მეგრელიშვილი;** აგრეთვე გამოტოვებულია სიაში გრ. კობიძე.

შემთხვევები.

■ **ქურდობა.** 5 ივნისს ღამის 12 საათზე რტიშჩევის ქ. № 7. გაქურდეს ღია ფანჯარიდან გადაპარვის საშუალებით მოქ. ვიქ. ქსენოდოხოვის ბინა, როდესაც უკანასკნელს ეძინა თავის ოთახში. წაღებულია 205 მან. ნივთები.

■ **კოოპერატივის გაქურდვა.** 5 ივნის ღამით გაქურდეს სამხედრო კოოპერატივი მდებარე არსენალის ქ. № 12, საიდანაც წაიღეს 210 მან. ნივთები.

■ **დაჭრა.** 6 ივნის ღამის 12 საათზე სადგურის მოედანზე ჩხუბის დროს მოქ. ანტონ უნდილეიამ დასჭრა ჯიბის დანით მძიმეთ მარცხენა. გვერდში მოქ. ანტონ დიახოვოლი. დამნაშავე შეიპყრეს. დაჭრილი გადაგზავნილი იქნა საავადმყოფოში.

■ **ქურდობა.** 5 ივნისს ღამით პლეხანოვის პრ. № 126 მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს მაქსიმე მანკერის ბინა, წაღებულია სხვადასხვა ნივთები 349 მან.

■ **შეპყრობა.** 5 ივნისს თავისუფლების მოედანზე შეიპყრეს ჯიბგირი სერგო აკოპჯანოვი, რომელმაც ანნა ვართანოვისას ამოაცალა ფული.

სპორტი

მოჭიდავე ესებუას იუბილე

კვირას, 8 ივნისს თბილისის ცირკში ქართველ ხელოვანთა თაოსნობით გადახდილ იქნა მოჭიდავე ნესტორ ესებუას 40 წლის იუბილე.

ესებუას ჭიდაობა დაუწყია ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ის 19 წლისა იყო. მისი პირველი შეჯიბრება მოხდა აქ, თბილისში მაშინდელ ცნობილ მოჭიდავე კულა გლდანელთან, რომლის წაქცევამ მას სახელი გაუთქვა. ამის შემდეგ ის ხდება მოჭიდავე პროფესიონალი; მას იწვევენ რუსეთის თითქმის ყველა ქალაქებში, სადაც მას წილად არ რგებია არც ერთი დამარცხება.

მაშინდელ პეტერბურგში მან მონაწილეობა მიიღო მსოფლიო მოჭიდავეთა ჩემპიონატში; წააქცია თითქმის ყველა მსოფლიო მოჭიდავენი და საჩუქრად მიიღო 3 ათასი მანეთი.

ამის შემდეგ მას იწვევენ პარიზის მსაერთაშორისო გამოფენაზე, სადაც მან საჯაროდ გამოიწვია 300 საუკეთესო, სახელგანთქმული მოჭიდავენი. სამასში მხოლოდ 10 კაცი დასთანხმდა მასთან ჭიდაობაზე: ათივე ესებუას მიერ წაქცეული იქნენ 11 წუთის განმავლობაში. მან აქ მიიღო მსოფლიო მოჭიდავეს სახელწოდება და 10 ათასი ფრანკი ჯილდოთ.

შემდეგში ის სისტემატიურად ღებულობდა მონაწილეობას სასპორტო შეჯიბრებებში.

მსოფლიო მოჭიდავეებს შორის ესებუას, სხვათა შორის, წაქცეული ჰყავს თბილისში კარგად ცნობილი კლემენტი ბულლ, პოდუბნი, გიორგი ლურსი და სხვები.

წაკითხულ იქნა აკაკის მიერ დაწერილი მესტვირული ლექსი კულა გლდანელის და ესებუას ჭიდაობის შესახებ. გარდა ამისა იჭიდავა წყვილმა—3 ფრანგული ხერხით, ხოლო ორი—კავკასიურით.

იჭიდავა თვით იუბილიარმა, რომელმაც 1 წუთის და 16 წამის განმავლობაში დასცა მსოფლიო ფალავანი მურომეცი.

დიდძალი საზოგადოება იუბილიარს თბილად შეხვდა.

სიტყვა იუბილიარის მოღვაწეობის შესახებ წარმოსთქვა პაოლო იაშვილმა, რომელიც ხელმძღვანელობდა საიუბილეო საღამოს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 11 ივნისს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის ალმასკომის დარბაზში მოწვეულია

დელეგატ ქალთა კრება

ქალთა ორგანიზატორებსა და დიასახლისებთან ერთად.
დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.
ქალთა განყოფილების გამგე **მეზურნოვა.**

განცხადებები

შვებულებაში და აგარაკებზე
მიმავალ მოსამსახურეთა მუშათა და სხვა
მოქალაქეთა
საყურადღებოთ

საოჯახო ბარგის და ავეჯეულობის ქურდობიდან და ცეცხლიდან დაზღვევის მიზნით, თბილისის და ბაქოს ქალ. სადგურებში არსდება შესანახად მიღება ასეთებისა.

ნივთები მიიღება შეკრული და უამისოდაც, სრული გარანტიით მისი დაუზიანებლად შენახვით.

ნივთები მიიღება საფასურის გამოცხადებით.

შესანახი ქირა და დაზღვევა ხელმისაწვდენ ფასებში. მისამართი: თბილისში:—განოვის ქ. № 3, ბაქოში—ჯაფარიძის ქ.

ნ. 1173—4—3

შავი ქვის მრეწველობის
განსაკუთრებული სამმართველო
აცხადებს, რომ 1924 წ. 29 ივნისს, შუადღის 12 საათზე
სამმართველოს კანცელარიაში [illegible]
დანიშნულია წერილობითი
საჯარო ვაჭრობა
სამმართველოს მაღაროებში ჭიათურაში
სამი ორსართულიანი ქვის სახლის
ასაგებათ
ას-ასი მუშისათვის თითო (თითო სახლი სოფ. რგანში, თაბაგრებში და მღვიმევში)

ვაჭრობა შეიძლება ერთ, ორ ან სამივე შენობაზე ერთად.

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შეიტანონ სამმართველოს სალაროში თბილისში ხუთი ათასი (5000) მანეთი ანდა შესაფერი საბანკო გარანტია თითეულ სახლზე საწინდარის სახით.

განცხადებები დახურულ კონვერტებით შემოტანილი უნდა იქნან შავი ქვის მრეწველობის განსაკუთრებულ სამმართველოს კანცელარიაში თბილისში არა უგვიანეს შუადღის 12 საათისა ვაჭრობის წინა დღით.

ვაჭრობის და ტეხნიკური პირობებთან, ხელშეკრულების პროექტთან, სამუშაოს რაოდენობასთან და შენობების გეგმასთან გაცნობა შეიძლება ყოველდღე, გარდა უქმეებისა, ა. წ. 8 ივნისიდან 12-დან 2 საათამდე, სამმართველოს კანცელარიაში თბილისში, და აგრეთვე სამმართველოს ჭიათურის კანტორაში.

ნ. 1202 2—1

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის
სააქციო ამხანაგობა
ამით აცხადებს, რომ ა/წ. 15 ივნისს დღის 12 საათზე მის ცენტრო-საწყობში (ელისაბედის ქ. № 133) დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
რომელზედაც გაიყიდება სხვადასხვა საქონელი. საქონლის დათვალიერება შეიძლება ვაჭრობის დღეს დილის 9 საათიდან.

ნ. № 1216—1—1

კურორტთა მთავარი სამმართველო
(საქარ. ჯანსახკომი)
ამით აცხადებს, რომ ა. წ. 14 ივნისს, შუადღის 12 საათზე ბორჯომში და აბასთუმანში დანიშნულია
დახურული საჯარო ვაჭრობა

რომელზედაც გაიცემა ბორჯომის და აბასთუმანის რაიონის სანატორიუმებისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგის მიწოდება ა. წ. საზაფხულო სეზონისათვის.

საჭიროა **აბასთუმანში** 200 ავადმყოფის სასანატორიო კვებისათვის: ძროხის ხორცი (პირველი ხარისხის), კარაქი, ერბო, კვერცხები, კართოფილი, კომბოსტო, ხახვი და სხვა მწვანეულობა და 160 თანამშრომლისათვის იგივე სურსათი, გარდა კარაქისა და კვერცხებისა. ბორჯომის რაიონში იგივე სურსათ-სანოვაგე 180 ავადმყოფის და 170 თანამშრომლისათვის.

სურსათ-სანოვაგის მიწოდება უნდა დაიწყოს ა. წ. 1 ივლისს და უნდა სწარმოებდეს ყოველდღიურად აბასთუმნის სანატორიუმებისთვის აბასთუმანში მიმწოდებლის საწყობში, ხოლო ბორჯომის რაიონისათვის: ბორჯომში და წალვერში მიმწოდებლის საწყობი.

იმან, ვისაც სურს შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღოს ზემო აღნიშნულ ვადისთვის, უნდა წარმოადგინოს სათანადო წერილობითი განცხადება დაბეჭდილი კონვერტით ცალ-ცალკე აბასთუმანში და ბორჯომში კუთვნილებისამებრ კურორტის დირექტორის მისამართით და წარწერით: „აბასთუმნის ან ბორჯომის რაიონის სანატორიუმებისათვის სურსათ-სანოვაგის მისაწოდებლად დანიშნულ შეჯიბრებისათვის“.

განცხადებაში უნდა აღნიშნულ იქნას თითოეულ საგანზე ცალკე ფასი. განცხადებას უნდა დაერთოს:

1) ბარათი იმის შესახებ, რომ მიმწოდებელს უფლება არ აქვს უარი თქვას, თუ შეჯიბრების დროს ეს უკანასკნელი მას დარჩა.
2) ორი საღერბო მარკა 3 მან. 30 კაპ. თანხის.
3) ქვითარი ხაზინაში ან კურორტის სამმართველოში (ბორჯომის ან აბასთუმნის) გირაოთ 200 ჩერვონეცის შეტანის შესახებ ან მის სამაგიეროთ ამავე თანხაზე ბანკის სათანადო გარანტია ან საპროცენ. ქაღალდები, რომელთა გირაოთ მიღება დაშვებულია. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება, როგორც თბილისში (საპიორის ქ. № 30) ისე ბორჯომის და აბასთუმნის კურორტის სამმართველოში ყოველდღე 9—2 საათამდე.

ნ. 1215 1—1 კურორტთა მთავარი სამმართველო.

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
რეიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მკურნალობა სწარმოებს ექ. სიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით.
თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—3

ექიმი გ. გ. მეგრაბიანი
შინაგანი, გულით და ჰლექით დაავადმყოფებული. სპეც. ციების წამლობა— ეზხაპ. 915 ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა
რენტგენის სხივებით
დილ. 9—1 ს. დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.
895—13—3

ექიმი დ. ნ. მატვეევი-მგალობლიშვილი
ყელის, ყურის, ცხვირის და თვალის ავადმყოფობანი.
ოპერატიული მკურნალობა, პლასტიური ოპერაციები.
ავადმყოფთა მიღება საღამოს 5-დან 7 ნახ.-მდე კვირადღის გარდა.
ვერა, მლეთის შესახვევი, № 20. 1164—25—1

დაიკარგა პასპორტი და ხაზინის ქვითარი ვლადიმერ ნათენაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
№ 1184—1—1

დაიკარგა შრომის ბირჟის წიგნაკი № 442 ევდოკია ტოკარევას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
№ 1183—1—1

დაიკარგა საკავშირო წიგნაკი საბჭოთა მოსამსახურეთა კავშირის წევრობის, № 3563 დავით სარქისიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1—1

დაიკარგა პასპორტი ვანო ბასილაშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ.
№ 1182—1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა სარდიონ ლუკას-ძე გეორხელიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
№ 1185—1—1

დაიკარგა ბირჟის წიგნაკი № 393, ნატაშა პაპიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
№ 1186—1—1

დაიკარგა საღრიცხვო მოწმობა, მოცემული ქ. თბილისის მე-13-ტე კომისარიატიდან ჯაფარ-კარამან-ოღლის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1—1 1180

დაიკარგა პასპორტი, რეგისტრაციის ქაღალდი, მოცემული მილიციის უფროსის მიერ გიორგი ბესარიონის ძე დილებაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1—1 1179

სტამბა „ზარია ვოსტოკის“, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.